პროლეტარელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

№ 5 (19447) ◆ სამშაბათი, 7 იანვარი, 1986 წელი. ◆ ფასი 8 კაპ.

შრომის დღესასწაული გვისმობს

რესპუბლიკის საწარმოებში, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში ეწყობა კრებები და მიტინგები, რომლებზეც შრომითი კოლექტივები კისრულობენ გალდებულებებს, დამკვრელურად იმუშაონ სკკპ XXVII ყრილობისადმი მიძღვნილ საკავშირო კომუნისტური შაბათობის დღეს.

თბილისის „ჩარხმშენებლის“ საწარმოო გაერთიანების კოლექტივმა გადაწყვიტა დამკვრელური შრომით აღნიშნოს საკავშირო შაბათობა. აქ შრომის დღესასწაულში მონაწილეობას მიიღებს ოთხი ათასზე მეტი კაცი.

— ჩვენს მესამე საამწყობო საამქროში, ისევე როგორც საწარმოს ყველა სხვა ძირითად საწარმოო ქვეგანაყოფში, შეიქმნა შაბათობის მოსამზადებელი და მომწყობი შტაბი, — თქვა ამწყობ ზეინკალთა ბრიგადის ხელმძღვანელმა რ. ორაგველიძემ. — იგი ყოველ მშრომელს ზუსტ და კონკრეტულ ამოცანებს უსახავს. პროდუქციის მნიშვნელოვან ნაწილს დაზოგილი მასალებით, ნედლეულით, ელექტროენერგიით დავამზადებთ.

კომუნისტური შაბათობის დღეს გაერთიანების კოლექტივი გამოუშვებს 100 ათასი მანეთის პროდუქციას, ხუთწლედის ფონდში გადარიცხავს 18 ათას მანეთს.

ბარდანის მუყაო-რუბეროიდის ქარხნის ყველა ქვეგანაყოფმა ვალდებულება იკისრა კომუნისტური შაბათობის დღეს უდიდესი ნაყოფიერებით იმუშაოს. აქ გამართული კოლექტივის საერთო კრებაზე მუყაოს საამქროს მჭრელმა ნ. იგიდოვმა თქვა:

— ჩვენმა ბრიგადამ გადაწყვიტა შაბათობის დღეს 110 პროცენტით შესასრულოს წლის დავალება და მთელი პროდუქცია დაზოგილი ნედლეულით დაამზადოს.

მოწინავე მუშის მოწოდებას მხურვალედ გამოეხმაურა მთელი საწარმოს კოლექტივი. ქარხნის საამქროებში ფართოდ გაიშალა მზადება თითოეულ უბანზე და სამუშაო ადგილზე საწარმოო ციკლის ზუსტი ორგანიზაციისათვის.

„კომუნისტისა“ და საქინფორმის კორესპონდენტები გვატყობინებენ:

მომჭირნეობა თითოეულის საქმეა

მერე რა, რომ ზამთრისათვის უჩვეულოდ თბილი მზიანი ამინდებია — ეს სულაც არ აძლევს თვითდამშვიდების საფუძველს იმათ, ვინც პასუხს აგებს მომზმარებლისათვის ელექტროენერგიის, გაზის, ნავთობპროდუქტების შეუფერხებელი მიწოდებისათვის.

ასეთ მომთხოვნ, საქმიან ატმოსფეროში მიმდინარეობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული საბობ-ენერგეტიკული რესურსების წარმოებისა და მოხმარების პროცესების მართვის საკითხთა ოპერატიული გადაწყვეტის სამუშაო ჯგუფის პირველი სხდომა ახალ წელს. მასმა მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ მთლიანად გასული წლის შედეგებით შესაბამისმა სამინისტროებმა და უწყებებმა შეასრულეს სახელმწიფო დავალებანი ძირითადი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების მიხედვით.

მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი პრობლემა დარჩა გადასაჭრელი. მათგან ერთ-ერთი მთავარია რესურსების დაზოგვა. მათ მიმართ როგორც ცალკეული საწარმოების, ისე ზოგიერთი სახლის მცხოვრებლების უყაირათო დამოკიდებულება ზოგჯერ იწვევს ელექტროების, გაზის, ნავთობპროდუქტების გადამეტხარჯვას. შესაბამისი სახელმწიფო ინსპექციები კი ყოველთვის ჯეროვან პრინციპულობას არ იჩენენ. სხდომაზე ხაზგასმით აღინიშნა: მომთხოვნელობა, ორგანიზებულობა სათბობ-ენერგეტიკული რესურსებით მომარაგებასა და მომჭირნე ხარჯვაში დიდმნიშვნელოვანი ამოცანაა საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის წინ.

სამუშაო ჯგუფის სხდომის შედეგები შეაჯამა მისმა ხელმძღვანელმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა ბ. ვ. ნიკოლსკიმ.

სატვირთო მუშაობის უკეთ ორგანიზაციისათვის

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკურმა საბჭომ და საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა შეაჯამეს რკინიგზის ვაგონების მოცდენის შემცირებისა და ეფექტიანი გამოყენების მიზნით საწარმოთა მისასვლელ გზებზე სატვირთო მუშაობის უკეთესი ორგანიზაციისათვის სამინისტროებსა და უწყებებს, საკავშირო დაქვემდებარების საწარმოებს შორის გაშლილი რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების 1985 წლის შესამე კვარტალის შედეგები.

შეჯიბრების გამარჯვებულად მიიჩნიეს და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშითა და ფულადი პრემიით დაჯილდოვეს შადნეულის სამთო-მამდიდრებელი კომბინატი.

რესპუბლიკის სამინისტროებსა და უწყებებს შორის სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულები არ გამოვლინდნენ იმის გამო, რომ მათ ვერ შეასრულეს რკინიგზის ვაგონების ეფექტიანი გამოყენების ცალკეული დიდმნიშვნელოვანი მაჩვენებლები.

აღინიშნა, რომ დადებითად იმუშაეს საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს, საქართველოს სსრ მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების სახელმწიფო კომიტეტის საწარმოებმა და ორგანიზაციებმა, საწარმოო გაერთიანება „საქქვანახშირმა“, თბილისის სახელმწიფო რაიონულმა ელექტროსადგურმა, საწარმოო გაერთიანება „ჭითურმანგანუმმა“, ჭოთაისის საავტომობილო ქარხანამ, რომლებმაც შეამცირეს დასატვირთი ოპერაციების დროს რკინიგზის ვაგონების ზენორმატიული მოცდენები.

არადამაკმაყოფილებლად მიიჩნიეს რკინიგზის ვაგონების ეფექტიანი გამოყენებისათვის ყოფილი სასოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის, ციკავშირის, საქართველოს სსრ საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროს საწარმოებისა და ორგანიზაციების, ბათუმის ნავთობგადასამუშავებელი ქარხნის, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მუშაობა, რომლებმაც დაუშვეს რკინიგზის ვაგონების მნიშვნელოვანი ზენორმატიული მოცდენები.

საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის დელეგატები



ფოტორეპორტიორმა რედაქციაში სურათი მოიტანა, მასზე, როგორც ხედავთ, მკითხველო, შთაგონებული სახის ჭაბუკია აღბეჭდილი. რეპორტორის მინაწერი გვამცნობდა: ბესარიონ თეიმურაზის ძე ბაბუნაშვილი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიის ფაკულტეტის III კურსის სტუდენტი, პეტრე მელიქიშვილის სახელობის სტიპენდიატი, საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობის დელეგატი. სურათი ნომერში დიგეგმა. ჩვენ კი ბესარიონის მოძებნა გადავწყვიტეთ, გვინდოდა უფრო მეტი გაგვეგო მის შესახებ.

უმაღლეს სასწავლებლებში ახლა ზამთრის სესიებია. ვეძებდით, იქნებოდა კი იგი უნივერსიტეტში? აკი არც დაგვხვდა.

ქიმიის ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა შოთა სიდამონიძემ გვითხრა:

— ბესიკი მარტო ფრიადოსანი როდია, იგი თავისი მოკალაქეობრიობით, ნიჭიერებით, შრომის სიყვარულით, შეუპოვრობით ნამდვილად გამორჩეული ახალგაზრდაა. იგი ჩვენი მარჯვენა ხელია. ყველას ერთნაირად გვიყვარს, პროფესორ-მასწავლებლებსაც და სტუდენტებსაც. ბესიკი უაღრესად მომთხოვნია საკუთარი თავის მიმართ. ყოველთვის ხალისით, დროულად ასრულებს ყველა დავალებას.

ბ. სიდამონიძეს გამოცდაზე ეჩქარება. სათქმელს მოკლედ გვეუბნება, კიდევ ბევრი კარგი სიტყვის თქმა შეიძლება ბესიკზე, ნამდვილად მისაბაძი ახალგაზრდაა, გვიმრავლოს მისთანანი.

იქვე ბესიკის ტელეფონი ჩავიწერეთ. შინ შევეხმიანეთ, ვუთხარით, სიდანაც ვრეკავდით. ვკითხეთ, გამოცდაზე ხომ არ მიდიოდა.

— არა, 7-ში მაქვს გამოცდა ორგანულ ქიმიაში.

ამიტომ რედაქციაში მოსვლით აღარ მოვიცდინეთ, ტელეფონით ვისაუბრეთ.

მას თბილისის 113-ე საშუალო სკოლა 1980 წელს წარმატებით დაუმთავრებია. შემდეგ სამი წელი საგაზეთ-ქენიკის საკონსტრუქტორო ბიუროს საცდელ წარმოებაში ზეინკალად უმუშავია. იქვე მიუღიათ სკკპ წევრობის კანდიდატად, შემდეგ კი სტუდენტი გამხდარა.

ბესიკს დიდი გეგმები აქვს. კონკრეტულად კი იმის თქმა შეიძლება, რომ. ფიზიკურ ქიმიაში აპირებს მუშაობას. როგორც ფაკულტეტის კომკავშირის ბიუროს მდივანს, უამრავი საზრუნავი აქვს, სტუდენტთა სამეცნიერო წრეში აქტიური მონაწილეობაც საკმაო დროს მოითხოვს.

ზამთრის არდადეგებზე იგი თავის ამხანაგებთან ერთად ფასანაურს მიაშურებს, სადაც ტრადიციულად, უკვე მეხუთედ, უნივერსიტეტის კომკავშირული აქტივის სწავლების სკოლა-ბანაკი ეწყობა. ახლა იქ გაგრძელდება საინტერესო და შინაარსიანი სტუდენტური ცხოვრება. შემდეგ — კვლავ მშობლიური უნივერსიტეტი.

ბესიკი განსაკუთრებული ღელვით ელოდება საქართველოს კომპარტიის XXVII ყრილობას, ცდილობს კიდევ უფრო პირნათელი წარდგეს რესპუბლიკის კომუნისტთა ფორუმზე.

ბ. დურგლიშვილი.
ა. საპკოვის ფოტო.

აგრომრეწვი ახალ წელს

ბათელი პერსპექტივებით დაიწყეს ახალი წელი აგროსამრეწველო კომპლექსის მშრომელებმა. ცუდად როდი იმუშავეს მათ მინდვრებსა და ფერმებში. მთელ რიგ ოლქებში, რესპუბლიკებში კარგი მოსავალი მოიწიეს. გაიზარდა პირუტყვის, ფრინველის ხორცის შესყიდვა. ვადამდე შესრულდა მოუხდელი რძის პროდუქციის, ერბო-კარაქის წარმოების გეგმა. გაუმჯობესდა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ეკონომიკური მდგომარეობა, უფრო წარმატებით წყდება სოციალური ამოცანები.

დიდი მიჯნები უნდა დაძლიოს სოფელმა მომდინარე წელს. დასახულია გაიზარდოს მარცვლეულის მოსავალი. მარტო ინტენსიური ტექნოლოგიების გამოყენების გზით დამატებით უნდა მოვიწიოთ სულ ცოტა 26 მილიონი ტონა მარცვლეული. ხორცის წარმოება უნდა გავადიდოთ 17,8 მილიონ ტონამდე, რძისა —100 მილიონ ტონამდე, რაც მეთერთმეტე ხუთწლედის საშუალო წლიურ მოცულობაზე მეტია.

ამისათვის არის საჭირო პირობები. მტკიცდება სოფლისა და მისი პარტნიორების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. იხვეწება ეკონომიკური ურთიერთობა. პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებებით შეიქმნა სსრ კავშირის სახაგრომრეწვი. ახლა დაგეგმვა, დაფინანსება, მართვა თავმოყრილია ერთ ხელში. ეს აღმოფხვრის უწყებრივ დაქსაქსულობას, უზრუნველყოფს ძალების, სახსრების ფართო მანევრს, მათს უკეთ გამოყენებას მთავარი მიზნის მისაღწევად. მიზანი ის არის, რომ უფრო სრულად დავაკმაყოფილოთ მოსახლეობის მოთხოვნილებანი სურსათ-სანოვაგეზე, ხოლო მრეწველობისა — სახოფლო-სამეურნეო ნედლეულზე. აგრომრეწვის კომუნისტების, ყველა მშრომელის ღირსების საქმეა თანამიმდევრულად და ბეჯითად განახორციელონ დასახული.

მართალია, რომ ამბობენ, აგრარული სამეკრეოს საფუძველი მიწათმოქმედებაა. აქ უფრო ფართოდ უნდა გაეხსნას გზა ინტენსიურ ტექნოლოგიებს, ზონალურ, ნიადაგსაცავ სისტემებს, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევებს. ახლის ათვისებას ახლავე უნდა მოვკიდოთ ხელი, ვვახოვდეს, რომ საქმის წარმატება დამოკიდებულია ჩვეულებრივ, ყოველდღიურ საზრუნავზე: მანქანების, თესლის მომზადებაზე, ნიადაგების ნაყოფიერების გადიდებაზე. კარგი მაგალითი გვიჩვენეს როსტოვის, ულიანოვსკის, ვინიცის, ბრესტის, ცელინოგრადის, ჩარჯოუს ოლქების. აზერბაიჯანისა და საქართველოს სსრ რესპუბლიკების მექანიზატორებმა და შემკეთებლებმა. მათ ვალდებულება იკისრეს დროულად, მასალების, სახსრების ნაკლები დანახარჯებით მწყობრში ჩააყენონ სათესი, ნიადაგდასამუშავებელი მანქანები. სკკპ XXVII ყრილობის გახსნის დღისათვის გამართავენ ტრაქტორების, კომბაინების მეტ ნაწილს. საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების ინიციატორთა თაოსნობას ფართოდ გამოეხმაურნენ ქვეყანაში. ჩვენში ბევრი მეურნეობაა, სადაც უკვე მზად არიან თესვის კამპანიისათვის.

არის სხვა ფაქტებიც. მანქანები ერთ-ერთ პირველებს გაჰყავთ მინდორში თურქმენ მიწათმოქმედებს. მაგრამ აქ მთელ რიგ შემოხვევებში აგვიანებენ ტექნიკის რემონტს, ფართობების მომზადებას. ხარვეზებს შეიძლება მოსავლის დანაკარგები მოჰყვეს. აგროსამრეწველო გაერთიანებების საბჭოებმა, სოფლის კომუნისტებმა უნდა უზრუნველყონ თესლის, ტექნიკის მომზადების, სასუქების შეტანის გრაფიკის განუხრელი დაცვა. განსაკუთრებული ზრუნვა გვმართებს მექანიზატორთა კადრებზე. ისინი ჯერჯერობით აკლიათ მთელ რიგ ოლქებში. უნდა მოვაგვაროთ მათი დამატებითი სწავლება კურსებზე, წრეებში, მორალურად და მატერიალურად წვალებალისოთ ისინი, ვინც ცდილობს აიმაღლოს ოსტატობა, დაეუფლოს მომავალი პროფესიებს. საჭიროა, რომ სასწავლო პროგრამებში უფრო ფართოდ იყოს წარმოდგენილი შრომის ორგანიზაციის მოწინავე ხერხები და ფეთოდები.

მიმდინარე წლის, მთლიანად მეთორმეტე ხუთწლედის დამკვრელური ფრონტი კვლავ მეცხოველეობაა. აქ უნდა დავამკვიდროთ დადებითი ძვრები, გადავდგათ გადამწყვეტი ნაბიჯი წინ. ამის შესაძლებლობანი კი გვაქვს:

საკმაოდ არის საკვების მარაგი, უკეთესია მექანიზმებითა და ხმა საშუალებებით უზრუნველყოფა, უმჯობესდება პირუტყვის ჯიში. უნარიანად იყენებს ამ შესაძლებლობებს მოსკოვის, ლენინგრადის ოლქების ბევრი მეურნეობა. პირნათლად შეასრულეს თავიანთი ხუთწლედი ჩერკასის ოლქის მეცხოველეებმა. მნიშვნელოვანი მიღწევები აქვს ფერმებისა და კომპლექსების ბევრ სხვა ჩვენს მშრომელს. ძიება, ინიციატივა, ანგარიში — აი, რა მიაქვთ თან ახალ ხუთწლედში სოფლის ამ დარგის მოწინავე მუშაკებს. სწორედ ასეთი თვისებები უზრუნველყოფს მტკიცე წარმატებას საქმეში.

28 და მეტ ცილოგრამ რძეს იღებს საშუალოდ ძროხაზე პოლტავის ოლქის საბჭოთა მეურნეობა „გლობინსკის“ მწველავი ანა სივოლაპი. დიდ წარმატებას აღწევს ვროზნოს ოლქის კოლმეურნეობა „კომუნიზმის გზის“ მეღორეობის კომპლექსური კოლექტივი, რომელსაც ანატოლი დანილოვი ხელმძღვანელობს. მეწინავეთა გამოცდილება ყველა კოლექტივის რეზერვია. იგი განსაკუთრებით საჭიროა ახლა, გამოზამთრების პასუხსაგებ დროს. მაგრამ ზოგან შეტცირდა წველადობა, წონამატება, არის შეფერხება პროდუქციის მიწოდებაში. მიზეზები კი ცნობილია: ცუდად მუშაობენ საკვების საამქროები, აუწონ-გაუწონლად ხარჯავენ ფურაჟს, შესუსტებულია შრომის დისციპლინა. ხშირად ამიტომაც დიდი არ არის ბევრი ფერმის პროდუქტიულობა ყაზახეთისა და უზბეკეთის სს რესპუბლიკის მთელი რიგი ოლქების მეურნეობებში. საბჭოთა, სამეურნეო ორგანოები მოვალენი არიან გამოასწორონ მდგომარეობა.

თვისებრივად ახალი ეტაპი დადგა სოფლის პარტნიორთა — დამამზადებელთა და გადამმუშავებელთა, შემკეთებელთა, მშენებელთა, ენერგეტიკოსთა საქმიანობაშიც. სსრ კავშირის სახაგრომრეწვის, მისი ადგილობრივი ქვეგანაყოფების შექმნის შემდეგ რთულდება მათი ფუნქციები, იზრდება პასუხისმგებლობა მიწათმოქმედების, მეცხოველეობის საბოლოო შედეგებისათვის. ტექნიკის ჩინებული მდგომარეობით, მინდვრების ნაყოფიერების ზრდით, პროდუქციის შენახვის, გადამუშავების უნარჩენო ტექნოლოგიების ათვისებით ისინი დაინტერესებულნი არიან მორალურად და მატერიალურად. პარტიულმა კომიტეტებმა, ადგილობრივმა საბჭოებმა, აგრომრეწვის ხელმძღვანელებმა და სპეციალისტებმა პროფკავშირულ ორგანოებზე, სახალხო კონტროლის ჯგუფებსა და საგუშაგოებზე დაყრდნობით თანამიმდევრულად უნდა განამტკიცონ, სრულყონ პარტნიორთა ეკონომიკური ურთიერთობა, უზრუნველყონ სახელშეკრულებო ვალდებულებათა ზუსტი შესრულება, ებრძოლონ ნედლეულისა და პროდუქციის დანაკარგებს. ეს უკეთესი ურთიერთმოქმედების, საწარმოო, სოციალური ამოცანების წარმატებული გადაწყვეტის უტყუარი გზაა. სამრეწველო საწარმოთა კოლექტივების ღირსების საქმეა შეუფერხებლად ამარაგებდნენ სოფელს ტექნიკით, სათადარიგო ნაწილებით, სასუქებით, საწვავით.

აგრომრეწვის ახალი მიჯნები მისი კომუნისტების მიჯნებიც არის. დიდია მათი როლი, მრავალფეროვანია გეგმების, ვალდებულებების ბედზე გავლენის ფორმები. წარმატების უტყუარი გზაა წარმოების ინტენსიფიკაცია, სამეურნეო ანგარიშის, იჯარის ათვისება. კომუნისტთა არსენალშია ისეთი მძლავრი ბერკეტი, როგორიც არის სოციალისტური შეჯიბრება, მისი ფართო საჯაროობა. პარტიული კომიტეტები და ბიუროები, ადგილობრივი საბჭოები ხელს უწყობენ აგრომრეწვების სტრუქტურის სრულყოფას, კადრების სწორ განაწილებას, აგვარებენ ყველა რგოლის ერთსულოვან და ზუსტ მუშაობას.

აგროსამრეწველო კომპლექსის მშრომელები ცდილობენ ღირსეულად შეხვდნენ სკკპ XXVII ყრილობას. მათ უნარი შესწევთ გადაწყვიტონ ახალ ხუთწლედში დასახული დიდი ამოცანები.

საქართველოს მუშაებლობანი

საქართველოს სსრ 1986 წლის სამშენებლო პროგრამას გაანმარტავს რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ბ. ნ. შანიძე.

ჩვენ წინ გადაშლილია რესპუბლიკის უმნიშვნელოვანეს ახალმშენებლობათა რუკა. იგი შედგენილია ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ძირითად მიმართულებათა პროექტის საფუძველზე, რომლის სამშენებლო პროგრამა ითვალისწინებს ეკონომიკის დაჩქარებული აღმავლობისათვის საჭირო წინამძღვრების შექმნას. პირობითად არის აღნიშნული ქარხნები და ფაბრიკები, ელექტროსადგურები და რკინიგზები, მეფრინველეობისა და მეცხოველეობის კომპლექსები, შახტები და მაღაროები, სასწავლებლები და სავაჭრო ცენტრები. რუკაში შეტანილი თითოეული ობიექტი საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის, მათი მზარდი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის პარტიისა და მთავრობის დაუცხრომელი ზრუნვის დადასტურებაა.

დამთავრდა მეთერთმეტე ხუთწლედი. საქართველოს მშენებლებმა გარკვეული წვლილი შეიტანეს 1981-1985 წლების სამშენებლო პროგრამის განხორციელებაში. აშენებული, რეკონსტრუირებული და გაფართოებულია ასობით დიდი სამრეწველო საწარმო და საამქრო, სასოფლო-სამეურნეო ობიექტი და საბინაო-სამოქალაქო ნაგებობა. მათ შორის ტყვარჩელის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგური და ქინვალის ჰიდროტექნიკური კვანძი, ენგურჰეს-ტაყარაოპოლის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგური ელექტროგადამცემი ხაზი, რუსთავის მეტალურგიული, თბილისის ელმავალსაშენებელი, ქუთაისის საავტომობილო, სხვა ქარხნების ყორპუნები და საამქროები, საწარმოო გაერთიანება „ჭითურმანგანუმის“ ცენტრალური საფლოტაციო ფაბრიკა, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის წყალსაბურნავი და გაზის საწმენდი ნაგებობანი, კინდღისა და ზუგდიდის მეფრინველეობის ფაბრიკები, მარაბდა-ახალქალქის რკინიგზის რამდენიმე უბანი, მრავალი სხვა.

კიდევ უფრო მასშტაბური ამოცანები აქვთ დასახული საქართველოს მშენებლებს მეთორმეტე ხუთწლედში. მთლიანად რესპუბლიკაში 1986 წლისათვის დამტკიცებულია კაპიტალური დაბანდებანი 2 მილიარდ 42 მილიონი მანეთის მოცულობით, რაც 25 მილიონი მანეთით და მეტად სჭარბობს 1985 წლის კაპიტალურ დაბანდებებს.

რუკა მოწმობს, რომ მეთორმეტე ხუთწლედის პირველ წელს რესპუბლიკაში კიდევ უფრო განვითარდება სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსი, დაიწყება მდინარე რიონზე 780 ათასი კილოვატი სიმძლავრის ნამახვანის ჰიდროელექტროსადგურის აგება. გაგრძელდება ხუდონჰესის, ვარციხის ჰიდროელექტროსადგურის კასკადის მშენებლობა, თბილისის სახელმწიფო რაიონული ელექტროსადგურის რეკონსტრუქციაგაფართოება. 197 კილომეტრით დაგრძელდება აზერბაიჯანის სახელმწიფო რაიონული ელექტრო სადგური — მუხრანის ელექტროგადამცემი ხაზი. მწყობრში ჩადგება ახალი ქვანახშირის ჭრილები ტყიბულის „დასავლეთი 2“ და ლენინის სახელობის შახტებში. 130,8 კილომეტრზე გადაიჭიმება ქუთაის-სოხუმის გაზსადენი ფოთისა და ბათუმის განშტოებებით, გაგრძელდება ჩრდილოეთ კავკასია-ამიერკავკასიის გაზსადენის გაყვანა.

შავი და ფერადი მეტალურგიის პირობითი ნიშნებით რუკაზე აღნიშნულია რუსთავის მეტალურგიული ქარხნის სატუმბავ-საკომპრესორო ძილების გამომშვები სიმძლავრეები. ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის, საწარმოო გაერთიანება „ჭითურმანგანუმის“, კვაისის ტყვიათუთიის მაღაროთასამმართველოს ახალი ობიექტები.

გაგრძელდება ქიმიური მრეწველობის განვითარება. რუსთავის საწარმოო გაერთიანებებში „აზოტსა“ და „ქიმმაკოში“, თბილისის საყოფაცხოვრებო ქიმიის ქარხანაში, „საქსამთოქიმმრეწვის“ ობიექტებში: მახარაძის მაღაროთასამმართველოსა და ბაკურიანის ანდეზიტის საწარმოში მწყობრში ჩადგება ახალი სიმძლავრეები.

დიდი ამოცანები აქვთ დასახული იმ საწარმოთა მშენებლებს, რომლებიც შედიან სსრ კავშირის მძიმე მანქანათმშენებლობის, ელექტროტექნიკური, ჩარხსაშენებელი და საინსტრუმენტო მრეწველობის სამინისტროების სისტემებში. მაგალითად, გაგრძელდება ახალქალაქის კიდული ბაგირგზების ქარხნის მშენებლობა, ცხინვალის ქარხანა „ელექტროვიბრომანქანის“, თბილისის „ელმავალსაშენებელი“, ფოლადთუჯსამსხმელო ქარხნების, ქარხანა „აგრეგატის“, ალექინის სახელობის მანქანათსაშენებელი ქარხნის, ქუთაისის საავტომობილო, მოტობლოკების ქარხნების, სხვა ქარხნების ახალი ობიექტების მშენებლობა.

1986 წელს მთლიანად დამთავრდება 159,3 კილომეტრი სიგრძის მარაბდა-ახალქალაქის რკინიგზის ხაზის მშენებლობა. დაიწყება კავკასიის საუღელტეხილო რკინიგზის გაყვანა. მარტო მიმდინარე წელს თვისებული იქნება 18 მილიონი მანეთი კაპიტალური დაბანდებანი.

მნიშვნელოვნად გაიზრდება სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა მოცულობა მსუბუქი, კვების, ხორცისა და რძის მრეწველობის ობიექტებზე. მაგალითად, გაგრძელდება სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები თბილისის უქსოვადი მასალების, ფოთის სამკერვალო ტრიკოტაჟის და ქუთაისის მაუდის ფაბრიკებში. მწყობრში ჩადგება ახალი საწარმოო სიმძლავრეები გალის ჩაის ფოთლის გადამუშავებელ ფაბრიკაში, ზუგდიდის, წალენჯიხის, თბილისის, ხელვაჩაურის, წულუკიძის, გუდაუთის ჩაის ფაბრიკებში. ორტონაწახევარი ყველი და 10 ტონა რძე ცვლაში — ასეთი იქნება ახალი ყველის ქარხნის სიმძლავრე, რომელიც ახალციხეში ამუშავდება. თბილისში გაგრძელდება ხორკლმბინატის მაკივრის რეკონსტრუქცია, ზუგდიდში კი — ხორკლმბინატის მშენებლობა.

გუდაუთაში საექსპლუატაციოდ გადაეცემა სამი ათასი ტონა ტევადობის ხილის საცავი. ბათუმის, ზუგდიდის, ახალციხის, ხობის, აგარის, მახარაძის საკონსერვო ქარხნებში ამუშავდება ახალი აგრეგატები.

გაფართოვდება საშენ მასალათა მრეწველობის საწარმოები. გორის სამშენებლო კონსტრუქციების კომბინატში, ფოთის სახლთასაშენებელ კომბინატში ამოქმედებენ წელიწადში 100 ათასი კუბური მეტრი რკინაბეტონის კონსტრუქციებისა და დეტალების საწარმოო სიმძლავრეებს, გაგრძელდება სამუშაოები და საექსპლუატაციოდ გადაეცემა საწარმოო ობიექტები იტავაზის, ხაშურის, თეთრი წყაროს, ყაზბეგის, სხვა რაიონების ქვის კარიერებში.

სოფლის მეურნეობის ობიექტებს შორისაა კასპის, ნორიოს მეფრინველეობის ფაბრიკების, თეთრი წყაროს რაიონის დაბა კოდის საექსპერიმენტო-სამრეწველო ბიოფაბრიკის ახალი სიმძლავრეები. დაიწყება საგარეჯოს რაიონის უდაბნოს საბჭოთა მეურნეობაში წელიწადში 54 ათასი ღორის გამოზრდისა და სუქების ფაბრიკის, სახორცე ჯიშის 50 ათასი ქათმისათვის გათვალისწინებული გალის ჯიშიანი ფრინველის რეპროდუქტორის მშენებლობა და 230 ათასი მოქცეულისათვის გათვალისწინებული გარის მეფრინველეობის ფაბრიკის რეკონსტრუქცია.

რამდენიმე ათასი ჰექტარი მიწების მოსარწყავად არის გათვალისწინებული ზემო ალაზნის, ზემო ხაშურის სარწყავი სისტემების, წითელწყაროს რაიონის „ხილიჩის“ სარწყავი სისტემის, ენგურ-ხობის შუამდინარეთში არხების მშენებლობა; მარტო ამ ობიექტებზე ათვისებული იქნება დაახლოებით 26 მილიონი მანეთის კაპიტალდაბანდებანი.

გარდა ამისა განხორციელდება კულტურის, მედიცინის, განათლების, საყოფაცხოვრებო ობიექტების საექსპლუატაციოდ გადაცემის ვრცელი პროგრამა. დამთავრდება თბილისის ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის, ბერიტაშვილის სახელობის ფიზიოლოგიის ინსტიტუტის, ბავშვთა მრავალპროფილიანი საავადმყოფოს რუსპუბლიკის სეფსისისსწინააღმდეგო ცენტრის, მახარაძის, გეგეჭკორის, სხვა ქალაქების ბიბლიოთეკების, სტამბების, სხვა ობიექტების რეკონსტრუქცია-გაფართოება.

1986 წლის სამშენებლო პროგრამის ეს არასრული დახასიათებაც კი მოწმობს, თუ რაოდენ მრავალმხრივი და რთულია იგი. მშენებელთა ვალია ახალი წლის პირველი დღეებიდანვე აიღონ კარგი სტარტი, უფრო ენერგიულად აღმოთხვრახ წარსულში დაშვებული ნაკლოვანებანი, უფრო ენერგიულად გამოიყენონ რეზერვები, რათა შეამცირონ ასამოქმედებელი ობიექტების აგების ვადები და დროულად გადასცენ ისინი საექსპლუატაციოდ.

(საქინფორმი).


უმნიშვნელოვანესი
ობიექტები
ბაზრა
ბუღალტერია
ტყვარჩელი
სოხუმი
ბაღი
ონი
ხუდონი
ენგურჰესი
ნაღვინევი
ნაგვანევი
ჭყონდიდი
ბავა
ცხინვალი
ფოთი
ნუდუკიძე
ქუთაისი
ზესტაფონი
საფეხელი
ბოლი
ბანკი
ბათუმი
ჯორბოი
ბაკურიანი
ბაკაურა
ბორჯომი
ბორჯომი
ბაკურიანი
ბაკურიანი
ბაკურიან

დარღვევებისადმი შემურიგებლობის ატმოსფეროში

საქმიანი, ობიექტური და პრინციპული განხილვის ტონი მისცა კონფერენციას საანგარიშო მოხსენებამ, რომელიც პარტიის ახმეტის რაიკომის მდივანმა ზ. მანიკაშვილმა გააკეთა.

მეტად საფუძვლიანად, კრიტიკულად და თვითკრიტიკულად გაანალიზეს კონომიკისა და კულტურის განვითარების საკვანძო საკითხები, მშრომელთა შორის ორგანიზატორული ღონისძიებების განხორციელებისათვის პარტიის რაიონული კომიტეტის მიერ გაწეული მუშაობა.

ახმეტაში მნიშვნელოვანი ჩავარდნები იყო ხუთწლედის დასაწყისში, არ შესრულდა სახელმწიფო დავალებანი სახალხო მეურნეობის არც ერთ დარგში. რაიონმა სახელმწიფოს 48 მილიონი მანეთის სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია დააკლო, 3 წელიწადში საზოგადოებრივი მეურნეობების ზარალმა 9 მილიონ მანეთს გადააჭარბა. 10 მეურნეობიდან 9 ზარალიანი იყო.

სწორედ ამ ნაკლოვანებათა გამოსწორების პროგრამა დაისახა პარტიის რაიონული ორგანიზაციის წინა კონფერენციაზე.

ხუთწლედის დასაწყისის 3 წელიწადში ყველაზე დიდი ზარალი განიცადა მეცხოველეობამ. ჰექტარში, რომელიც 1984 წლის ავნისში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მითითებით მოეწყო, მეცხოველეობის დარგის აღდგენასა და მისი განვითარების პრობლემას ეძღვნებოდა.

ამის შემდეგ გაიზარდა მეცხოველეობაში დასაქმებულ კომუნისტთა რიცხვი. ჩამორჩენილ უბნებზე გაიგზავნენ ისინი. მეცხოველეობაში დაინერგა სრული სამეურნეო ანგარიში, შეიქმნა საიჯარო ბრიგადები, მკაცრი შეფასება მიეცა გამოვლენილ დარღვევა-დამახინჯებებსა და ნეგატიურ მოვლენებს.

შედეგმაც არ დააყოვნა. თუ ხუთწლედის დასაწყისში დარგი ზარალიანი იყო, საანგარიშო პერიოდში მეცხოველეობისა განმიღებული მოგება 600 ათას მანეთს შეადგენს. მაღალი მაჩვენებლები აქვს ქვემო ალვანის საჯიშე მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობას, რომელმაც საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში გაიმარჯვა.

რაიონის წარმატებებში დიდია ცალკეულ მეცხოველეთა წვლილი. სამაგალითო მაჩვენებლებს აღწევს ზემო ალვანის მეცხვარეობის საბჭოთა მეურნეობის მეღორეობის ბრიგადირი, სოციალისტური შრომის გმირი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორი ერთობლივი დადგენილება მიიღეს.

ახმეტის რაიონის მშრომელები დაირაზმნენ მის შესასრულებლად.

საანგარიშო პერიოდში თუშეთში აშენდა და საექსპლოატაციოდ გადაეცა მასწავლებელთა ორ-ორ ბინიანი საცხოვრებელი სახლი, ათი ინდივიდუალური სახლი, საბავშვო ბაღი 50 ბავშვისათვის, სამოხე 104 სულისათვის, ომალო-წოვათის დამაკავშირებელი 15-კილომეტრიანი გზა, ბოჭორმა-ომალოს 8-კილომეტრიანი სასმელი წყლის ტრასა და სხვ.

ერთი შეხედვით თითქოს შეუმჩნეველ დარღვევაზე თვალის დახუჭვა ხელს უწყობს კიდევ უფრო სერიოზული შეცდომების დაშვებას. ასე მოხდა გარეული ხილის დამზადების დროსაც. სწორედ კონფერენციის მზადების წინა დღეებში რაიკომის ბიურომ იმსჯელა ამ საქმეში არსებული დამახინჯებების შესახებ.

1984 წელს ნაცვლად დაგეგმილი 80 ტონისა რაიონში დაამზადეს 276 ტონა ასკილი. მაშინ, როდესაც ამის არავითარი რეალური შესაძლებლობა არ არსებობდა. სამაგიეროდ იყო შინდის დამზადების დიდი შესაძლებლობა. დამზადდა კიდეც 800 ტონამდე შინდი. ეს რომ ველურ ხილში აღრიცხულიყო, ვეგმა დიდი გადაჭარბებით შესრულდებოდა. შეიძლებოდა აგრეთვე პანტისა და მაჟალოს დამზადებაც, მაგრამ ეს დამამზადებლებს ხელს არ აძლევდათ. მარტივი არითმეტიკაა — კილოგრამი შინდი ათი კაპიკი ღირს, ასკილი კი — 65 კაპიკი.

საქართველოს კომპარტიის ახმეტის რაიკომის ბიურომ აღმასკომის თავმჯდომარეს ვ. გიგაურს გამოუცხადა სასტიკი საყვედური და რაიონული საბჭოს სესიას წინადადება მისცა გადაერჩიათ იგი რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეობიდან.

ბევრ სხვა ნაკლზე გამახვილდა კონფერენციის ყურადღება, მაგრამ ეს იმიტომ კი არ მოხდა, რომ ახმეტელთა მუშაობაში ნაკლი დადებითს სჭარბობს, არამედ იმიტომ, რომ შეეცადონ შემდგომში მინიმუმამდე შეამცირონ ყველა ნაკლი, კიდევ უფრო მეტი წარმატებების მისაღწევად დარაზმონ რაიონის მშრომელები.

კონფერენციაზე გამომსვლელები კონკრეტულად, უშუალოდ საქმეზე საუბრობდნენ, და არა ზოგადად. სწორედ ამიტომ ახმეტელ კომუნისტთა მიერ მიღებულ დადგენილებაში საჭირო სიზუსტით არის განსაზღვრული პარტიული კომიტეტების ამოცანები მომავალი წარმატებებისათვის ბრძოლაში.

აი რატომ არ დააკმაყოფილა კონფერენციის მონაწილენი ახმეტის რაიონის პროკურორისა და განათლების განყოფილების გამგის გამოსვლამ, რომლებმაც ნეგატიური მოვლენების ფაქტები კი ჩამოთვალეს, მაგრამ არაფერი თქვეს მათი პროფილაქტიკისა და აღკვეთისათვის საჭირო კონკრეტულ მუშაობაზე, პირველ ყოვლისა თავიანთ მოვალეობასა და როლზე.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდა და სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგემ ნ. ენდელაძემ.

მ. ანასაშვილი.

„კომუნისტის“ სპეც. კორ.

სამიზნე — ფორმალიზმი

ჟარტიული ცხოვრება: რაიონული და საქალაქო კონფერენციები

რეგორც საერთოდ ყველა, ისე ლენინჩუთის რაიონული პარტიული კონფერენციაც მრავალწახნაგოვანი იყო. სხვანაირად არც შეიძლებოდა, ვინაიდან რაიონის კომუნისტთა ამ ფორუმზე შეჯამდა საანგარიშო პერიოდის, ხუთწლედის დამამთავრებელი წლის, მთლიანად მეთერთმეტე ხუთწლედის შედეგები, დაისახა ახალი ხუთწლედისა და მისი პირველი წლის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების პერსპექტივები.

როგორც საანგარიშო პერიოდში, ისე მთლიანად ხუთწლედში გვარიანად იშრომეს აქაურმა მშრომელებმა და ცხადია, საარბიელო შედეგსაც მიაღწიეს. მეთერთმეტე ხუთწლედის „განძილზე რაიონში წარმოებულია 125 მილიონი მანეთის სოფლის მეურნეობის და 258.825 ათასი მანეთის სამრეწველო პროდუქცია. ამის კვალობაზე წარმოების ზრდის ტემპმა წინა, მეათე ხუთწლედთან შედარებით 140,5 პროცენტი შეადგინა ამავე პერიოდში 150,1 პროცენტით გაიზარდა სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების მოცულობა. რაიონის მრეწველობის მუშაკებმა ხუთწლედის დავალება წელს 25 სექტემბრისათვის შეასრულეს.

რაიონის სამრეწველო დარგის თანმიმდევრული განვითარება იმის შედეგია, რომ ცალკეულ სამრეწველო საწარმოებში თამამად მოჰკიდეს ხელი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევების დანერგვას. გასულ წლებში მნიშვნელოვანი ღონისძიებები განხორციელდა რაიონის ჩაის მრეწველობაში — ყველა ფაბრიკა გადავიდა უტარო გადაზიდვის მეთოდზე, ასევე საგრძნობლად გაიზარდა ნედლეულის დამუშავების სიმძლავრეები. საინტერესო პროდუქციის გამოშვება დაიწყო ჩაის კონცენტრატების ექსპერიმენტულმა ქარხანამ, სადაც ათვისებულია მწვანე ჩაის გამამხნევებელი სასმელი „კოლხური“.

1985 წელს საზოგადოებრივ მეურნეობებში საერთო პროდუქციის წარმოება 1980 წელთან შედარებით 3 მილიონი მანეთით მეტია და 26 მილიონი მანეთის გადააჭარბა. მეთერთმეტე ხუთწლედში მკაცრი კლიმატური პირობების მიუხედავად, წინა, მეათე ხუთწლედთან შედარებით წარმოებულია ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი 5,683 ტონით მეტი, ციტრუსი — 3.997, ხილი — 578, ხორცი — 2.660 ტონით მეტი, კვერცხი კი — 5 მილიონ 382.000 ცალით მეტი. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ცენტნერი ხორცის წარმოება გაიაფებულია 63, ღორის კი — 215 მანეთით. მსგავსი მაგალითების ჩამოთვლა შორს წაგვიყვანდა. მაგრამ აქ უკვე ძირითადი და მთავარია არა დადებითი მაგალითების დაუსრულებლად ჩამოთვლა, არამედ პარტიულ ორგანიზაციული მუშაობის ის სტილი და მეთოდები, რომლის მეოხებითაცაა მიღწეული. წარმატებები როგორც სამეურნეო ფრონტზე, ისე მორალურ-ფსიქოლოგიური კლიმატის გაჯანსაღებაში.

მაინც რა არის ლენჩუთის პარტიული ორგანიზაციის მუშაობის სტილის ქვაკუთხედი, ამოსავალი წერტილი? მეტად უბრალო, მრავალნაკადი, ეფექტიანი ნერხი — პრინციპული პარტიული მომთხოვნელობა, რომელიც უეცლევ ყველას თანაბრად ეხება! ცოცხალი მაგალითები? ინებეთ: სახბანკის პირველადი პარტიული ორგანიზაციის საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე კომუნისტებმა პრინციპული შეფასება მისცეს პარტორგანიზაციის მდგომარეობის მ. ურუშაძის საქმიანობას ამ თვალსაზრისით, რომ მან შეასუსტა ადმინისტრაციის საქმიანობისადმი კონტროლი, რის გამოც მოიშალა სახელმწიფო და საშემსრულებლო დისციპლინა. ამან კი შესაძლებლობა გახადა თვით ბანკის ზოგიერთი მუშაკის აშკარა ხელისშეწყობით დატაცებულიყო დიდძალი სახელმწიფო თანხა. დამნაშავენი დაისაჯნენ, მ. ურუშაძეს კი კომუნისტებმა უნდობლობა გამოუცხადეს და გადაარჩიეს.

რაიონში დღემდე მოისმინეს 511 კომუნისტის (აქედან ყოველი მეექვსე სხვადასხვა რანგის ხელმძღვანელია) ანგარიში და დაამტკიცეს მათი პარტიული დახასიათება. ამათგან ორმოცმა კომუნისტმა მიიღო უარყოფითი დახასიათება და მათ მიმართ განხორციელდა პარტიული ზემოქმედების სხვადასხვა ზომა. ხიდმაღალს სპეციალიზირებული საბჭოთა მეურნეობის დირექტორს ა. კვაჭანტირაძეს მეურნეობაში მიწათსარგებლობის კანონმდებლობის უხეში დარღვევებისა და შრომის დისციპლინის შესუსტებისათვის გამოეცხადა სასტიკი საყვედური საღრიცხვო ბარათში შეტანით. ხოლო სოფლად ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის შესუსტებისა და მუშაობაში სხვა სერიოზული ნაკლოვანებებისათვის მამათის ტერიტორიული პირველადი პარტიული ორგანიზაციის კრებაზე აღმასკომის თავმჯდომარეს ჯ. ლომაძეს გამოუცხადეს სასტიკი საყვედური. კომუნისტებმა როგორც ა. კვაჭანტირაძის, ასევე ჯ. ლომაძის სამსახურებრივი მდგომარეობა მიზანშეუწონლად ცნეს. პარტიის რაიკომის ბიურო უყოყმანოდ დათანხმდა პარტიულ ორგანიზაციათა აზრს — ორივე კომუნისტი განთავისუფლებულია სამსახურიდან.

საანგარიშო პერიოდში სკკპ რიგებიდან გაირიცხა 18 კომუნისტი. ერთ-ერთ ასეთ დიდი რაიონისათვის, როგორიც ლენჩუთია, ეს ციფრი ერთობ დიდია და იგი უეცლობლად მეტყველებს ორ ანგარიშგასაწევ მომენტზე. პირველი: პარტიის რაიკომმა გამოიჩინა პრინციპულობა, არ აპყვა ლიბერალიზმს, შემრიგებლობას, დათმობას, მიფუჩეჩებას და გასარიცხნი გარიცხნენ პარტიიდან. მეორე: პარტიის რაიკომს 18 კომუნისტის გარიცხვა არ დასჭირებოდა, თავის დროზე რომ უფრო მეტი ყურადღება გამოეჩინათ პარტიის რიგებში შემსვლელთა მიმართ, რომ უფრო მაღალ დონეზე მდგარიყო კადრების შერჩევის, აღზრდისა და განაწილების ლენინური პრინციპი. სწორედ ამიტომ იყო, რომ როგორც საანგარიშო მოხსენებაში, ისე მოკამათეთა გამოსვლებში მკაფიოდ იკვეთებოდა ერთი ტონი და სურვილი: ერთხელ და სამუდამოდ აღმოფხვრას პარტიულ-ორგანიზაციულ მუშაობაში ფორმალიზმის ელემენტები, შაბლონურობა, რაც ხელს უშლის სამეურნეო და სოციალურ-ეკონომიკური ამოცანების წარმატებით გადაწყვეტას.

აი სწორედ ეს მომენტი უნდა გადაწყვიტონ დადებითად ლენჩუთელმა კომუნისტებმა, რათა შეინარჩუნონ და უფრო გაზარდონ წლების მანძილზე მოპოვებული წარმატებები და დროულად დაძლიონ ის ნაკლი და ხარვეზები, რომლებიც ჯერ კიდევ აქვთ ამა თუ იმ უბანზე.

ჯ. მეხრიშვილი,

„კომუნისტის“ სპეც. კორ.

ჟარტიულ ცხოვრებაზე

ანალიზი

ᲒᲐᲜᲘᲮᲘᲚᲐᲕᲗ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡᲬᲘᲜᲐ ᲓᲝᲙᲣᲛᲔᲜᲢᲔᲑᲡ

ᲡᲙᲙᲞ XXVII ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲡᲕᲔᲚᲠᲐᲚ

რესპუბლიკის ერთ-ერთ წამყვან პედაგოგიურ სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულებას — თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტს თავისი არსებობის 50 წელი შეუსრულდა და ამ თარიღთან დაკავშირებით დაჯილდოვდა ხალხთა მეგობრობის ორდენით. 1984 წელს ინსტიტუტს მერვედ ზედიზედ გადაეცა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს, პროფსაბჭოს და ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა. ასეთი აღიარება და დაფასება ყველას გვახარებს.

50 წლის მანძილზე ინსტიტუტმა მომზადა 46.000-მდე მაღალკვალიფიციური პედაგოგი ქართული, რუსული, სომხური და აზერბაიჯანული სკოლებისათვის და 6.000-მდე ბიბლიოთეკარი, 2500-მდე სკოლამდელი დაწესებულების აღმზრდელ-მეთოდისტი. ამ სპეციალისტთაგან დღეს ბევრი სახელმოხვეჭილი მეცნიერი, დამსახურებული პედაგოგი, კულტურის მოღვაწე, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული და სამეურნეო მუშაკია.

ინსტიტუტის წლევანდელ საიუბილეო წელიწადს განსაკუთრებული მნიშვნელობა, აზრი და მიზანი შესძინა ერთმანეთის მიყოლებით გამოქვეყნებულმა პარტიის ყრილობისწინა დოკუმენტებმა — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის ახალი რედაქციის და პარტიის წესდების ცვლილებათა, ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ძირითად მიმართულებათა პროექტებმა. სწორედ ეს დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტები ჩვენი ექვსასკაციანი პარტიული ორგანიზაციის, პედაგოგიური კოლექტივის, თითოეული სტუდენტის შესწავლის, ფართო განხილვის საგნად იქცა.

ვკითხულობ პარტიის ახალი პროგრამის პროექტს და ნათელი ხდება, რომ მასში თითქმის არ არის არც ერთი ნაწილი თუ ქვეთავი, რომ უშუალოდ ჩვენს ინსტიტუტს, მის სამომავლო პერსპექტივებს არ ეხებიანდოდეს და კონკრეტულ ამოცანებს არ უსახავდეს. და ეს არც არის გასაკვირი, ვინაიდან სხვებთან ერთად, ჩვენი ინსტიტუტის აღზრდელებმაც ხელი უნდა დავაწეროთ „საბჭოთა ადამიანის ცნობიერებაში სოციალისტური იდეოლოგიის შემდგომ განმტკიცებას; სოციალიზმის მორალური პრინციპების, კოლექტივიზმისა და ამხანაგური ურთიერთდახმარების სულისკვეთების სრულ დამკვიდრებას, მოსახლეობის უფართოესი ფენების ზიარებას მეცნიერების მიღწევების, კულტურის ღირებულებებისათვის, ყოვლმხრივ განვითარებული პიროვნების ჩამოყალიბებას“.

პროგრამის პროექტში ჩამოყალიბებული ეს ნათელი და მარტივი დებულება მეტად რთული და პასუხსაგები ამოცანების წინაშე აყენებს მთელ ინსტიტუტს, მის პარტიულ ორგანიზაციას. ამიტომ თავისთავად იბადება კითხვები: რა წვლილის შეტანა შეუძლიათ ჩვენს კომუნისტებს პარტიის მოწოდებათა ხორცშესასხმელად, ანდა როგორია ინსტიტუტში პარტიული მუშაობის რელიეფი, მიმართულება, სიმძლავრე, შეგვწევს იმის ძალ-ღონე, რომ მიღწეულით არ დავკმაყოფილდეთ, წარმატება ვამყარეთო, ნაკლი კი ლენინური პრინციპულობით გამოვამხეთოთ და „ასეთივე პირუთვნელი პრინციპულობით ვიბრძოლოთ მის დასაძლევად? ამას წინათ გამართულმა ინსტიტუტის პარტიულმა კონფერენციამ ცხადყო, რომ ჩვენს პარტიულ ორგანიზაციას შესწევს ამის უნარი.

ინსტიტუტის კომუნისტები გაერთიანებულნი არიან რვა პირველადს (აქედან შვიდი „საფაულტეტოა და ერთიც ადმინისტრაციო) ორგანიზაციაში და 83 პარტიულ ჯგუფში. კომუნისტთა შორის 290 ლექტორ-თანამშრომელია და 345 სტუდენტი. პარტიული კომიტეტი სერიოზულ ყურადღებას უთმობს საორგანიზაციო მუშაობის სხვადასხვა საკითხებს. ჩვენი საქმიანობა მიმდინარეობს პერსპექტიული და კვარტალური გეგმების საფუძველზე, რომლებიც ასახავს პოულობს პარტიული ორგანიზაციის საქმიანობის ყველა მხარე და ასპექტი. სათანადო ყურადღება ექცევა პარტიული კომიტეტის მუშაობის სრულყოფას, პარტიული კრებებისა და პარტიული კომიტეტის სხდომების მომზადება-ჩატარებას, საკითხების ყოველმხრივი ანალიზის, ღრმა და საქმიანი განხილვის უზრუნველყოფას, კრიტიკისა და თვითკრიტიკის განვითარებას, კონკრეტული დადგენილებების მიღებას და შესრულების შემოწმებას.

რა გვიჩვენა საანგარიშო-საარჩევნო კამპანიამ? პარტიული კომიტეტი ყოველთვის სათანადო ყურადღებას უთმობს პარტიული ორგანიზაციის ძირეულ რგოლებთან — პარტიულ ჯგუფებთან მუშაობას. ამ მხრივ ჩვენი საქმიანობა მომარაული იყო პარტიული ჯგუფების აქტივიზაციისათვის, პირველადი პარტორგანიზაციის საქმიანობაში მათი ავანგარდული როლის გაძლიერებისათვის.

პარტჯგუფებს სისტემატურად ეწევათ დახმარება მუშაობის დაგეგმვასა და ორგანიზაციაში, მათს ანგარიშებს ვისმენთ ხოლმე პარტიული კომიტეტებისა და პარტბიუროს სხდომებზე, პარტიულ კრებებზე. მაგრამ, გულახდილად უნდა ითქვას, რომ საანგარიშო პერიოდში ყველა პარტჯგუფიორგი არ ეწეოდა სათანადო მუშაობას. უფრო მეტიც, ზოგიერთმა მათგანმა პრაქტიკულად ჩამოალა მუშაობა. ამის შესახებ ვრცლად და პირუთვნელად ვილაპარაკეთ პარტიულ კონფერენციაზე. ალბათ, კომუნისტების პრინციპულობას და მკაცრ მომთხოვნელობაზე მეტყველებს შემდეგი ფაქტი: რვა პირველადი პარტიული ორგანიზაციიდან ხუთში არჩეულია პარტბიუროს ახალი მდივანი.

განსაკუთრებით მინდა შევეხო ისეთ მნიშვნელოვან საწესდებო მოთხოვნებს, როგორიც არის კომუნისტთა მიერ პარტიული და საზოგადოებრივი დავალებების შესრულება აქ კი წინა პლანზე უნდა წამოიწიოს პარტიულ დავალებათა განაწილების პრაქტიკა კომუნისტ-სტუდენტთა შორის, ვინაიდან პარტიის ახალი წესდების პროექტი თითოეული კომუნისტისაგან მოითხოვს, რომ აქტიურად მონაწილეობდეს ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში, სახელმწიფო და საზოგადოებრივი საქმეების მართვაში, სანმუშო იყოს მოქალაქეობრივი მოვალეობის შესრულებით“. პრაქტიკა ნათელყოფს, რომ საზოგადოებრივ საქმიანობაში აქტიურად ჩაბმული სტუდენტი სწავლაშიც მოწინავეა. რაკი სიტყვამ მოიტანა, ბარემ ორიოდე სიტყვას სტუდენტთა აკადემიურ წარმატებებზეც ვიტყვით: 1983-1984 და 1984-1985 სასწავლო წლებში აკადემიური წარმატების საერთო მაჩვენებელია 98 პროცენტი. მათ შორის კომუნისტ სტუდენტთა მაჩვენებელი 97,8 პროცენტს უდრის, თავისთავად ეს ურიგო როდია, მაგრამ მაინც არ

ᲛᲝᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲫᲚᲘᲔᲠᲔᲑᲘᲗ

ჩვენს კომუნისტებს პარტიის მოწოდებათა ხორცშესასხმელად, ანდა როგორია ინსტიტუტში პარტიული მუშაობის რელიეფი, მიმართულება, სიმძლავრე, შეგვწევს იმის ძალ-ღონე, რომ მიღწეულით არ დავკმაყოფილდეთ, წარმატება ვამყაროთ, ნაკლი კი ლენინური პრინციპულობით გამოვამხეთოთ და „ასეთივე პირუთვნელი პრინციპულობით ვიბრძოლოთ მის დასაძლევად? ამას წინათ გამართულმა ინსტიტუტის პარტიულმა კონფერენციამ ცხადყო, რომ ჩვენს პარტიულ ორგანიზაციას შესწევს ამის უნარი.

ინსტიტუტის კომუნისტები გაერთიანებულნი არიან რვა პირველადს (აქედან შვიდი „საფაულტეტოა და ერთიც ადმინისტრაციო) ორგანიზაციაში და 83 პარტიულ ჯგუფში. კომუნისტთა შორის 290 ლექტორ-თანამშრომელია და 345 სტუდენტი. პარტიული კომიტეტი სერიოზულ ყურადღებას უთმობს საორგანიზაციო მუშაობის სხვადასხვა საკითხებს. ჩვენი საქმიანობა მიმდინარეობს პერსპექტიული და კვარტალური გეგმების საფუძველზე, რომლებიც ასახავს პოულობს პარტიული ორგანიზაციის საქმიანობის ყველა მხარე და ასპექტი. სათანადო

საქმიანობაში მათი ავანგარდული როლის გაძლიერებისათვის.

პარტჯგუფებს სისტემატურად ეწევათ დახმარება მუშაობის დაგეგმვასა და ორგანიზაციაში, მათს ანგარიშებს ვისმენთ ხოლმე პარტიული კომიტეტებისა და პარტბიუროს სხდომებზე, პარტიულ კრებებზე. მაგრამ, გულახდილად უნდა ითქვას, რომ საანგარიშო პერიოდში ყველა პარტჯგუფიორგი არ ეწეოდა სათანადო მუშაობას. უფრო მეტიც, ზოგიერთმა მათგანმა პრაქტიკულად ჩამალა მუშაობა. ამის შესახებ ვრცლად და პირუთვნელად ვილაპარაკეთ პარტიულ კონფერენციაზე. ალბათ, კომუნისტების პრინციპულობას და მკაცრ მომთხოვნელობაზე მეტყველებს შემდეგი ფაქტი: რვა პირველადი პარტიული ორგანიზაციიდან ხუთში არჩეულია პარტბიუროს ახალი მდივანი.

განსაკუთრებით მინდა შევეხო ისეთ მნიშვნელოვან საწესდებო მოთხოვნებს, როგორიც არის კომუნისტთა მიერ პარტიული და საზოგადოებრივი დავალებების შესრულება აქ კი წინა პლანზე უნდა წამოიწიოს პარტიულ დავალებათა განაწილების პრაქტიკა კომუნისტ-სტუდენტთა შორის, ვინაიდან პარტიის ახალი წესდების

ᲡᲐᲥᲛᲘᲐᲜᲐᲓ!

აზრთა ჰიდილი

ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალში მუდამ დიდძალი ხალხი იყრის თავს. განსაკუთრებით ახლა, როცა უმნიშვნელოვანესი პარტიული დოკუმენტების პროექტებს განვიხილავთ. დიდი აუდიტორია იკრიბება ხოლმე საუბრებისა და კონფერენციების დროს თემაზე „ვ. ი. ლენინი პარტიის პროგრამისა და წესდების შესახებ“.

ისინი ცხოვლად უზიარებენ ერთმანეთს გრძნობებსა და აზრებს, რომლებსაც ზომს სკკპ XXVII ყრილობისათვის მომზადებული დოკუმენტების პროექტები. და აი, მეც ჩემს მოვალეობად ვრაცხ მოკლედ მაინც გაგაცნოთ მათი ზოგიერთი მოსაზრება.

„სკკპ ცენტრალური სარევიზიო კომისია, — ნათქვამია სკკპ წესდების პროექტის 36-ე პარაგრაფში, — რევიზიას უწევს პარტიის ცენტრალურ ორგანოებში საქმეების მსვლელობის დადგენილი წესის დაცვას, პარტიის ცენტრალურ ორგანოებში მშრომელთა წერილების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვისათვის მუშაობას...“. ჩემი თანამოსაუბრენი, კერძოდ, წინადადებას იძლევიან სიტყვის „განხილვისათვის“ შემდეგ დაისვას ძმიე და დაემატოს „**მოქალაქეთა მიღებისათვის**“. რაც შემეხება მე, **ჩემი აზრით, მიზანშეწონილია წესდებაში ახალი კარიც კი შევიდეს — „სარევიზიო კომისია“.**

აი მოსაზრებანი მე-40 პარაგრაფის თაობაზეც. „პარტიის ყრილობებს შუა პერიოდში, — ნა-

— სწორია! — ამტკიცებს ერთი თანამოსაუბრეთაგანი.

— ცენტრალური კომიტეტის წევრები და წევრობის კანდიდატები, — ამბობს მეორე, — მასების წიაღში ტრიალებენ. მათ შორის ბევრი მუშა და კოლმეურნეა. ისინი ჩინებულად იცნობენ იმათ, ვინც მათ გვერდით შრომობს, ამიტომ თავდებობის უფლებაც აქვთ...

გამოფენა „პარტიული ბილეთის“ მახლობლად შევნიშნე ჩემი ძველი ნაცნობი — ლიუდმილა ვასილის ასული ჩესნოკოვა-აერაპეტიანი. ვეახლეი... იგი პარტიის წევრია 1916 წლიდან. აქტიურად მონაწილეობდა მოსკოვის შეიარაღებულ აჯანყებაში. 1920 წელს პარტიის რაიკომის მდივანი იყო. მუზეუმის ბევრი დამთვალიერებელი სახით ცნობს ვეტერანებს. ეს პატივმოსილი ადამიანები მაშინვე ყურადღებას ცენტრში მოექცევიან ხოლმე. მათი აზრი ყველას აინტერესებს, და ისინიც ძლივს ასწრებენ კითხვებზე პასუხის გაცემას...

პარტიული დოკუმენტების პროექტების განხილვა გრძელდება.

ფ. მახარაძე,

ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის თბილისის ფილიალის დირექტორი.

„ᲞᲠᲐᲕᲓᲐ“. 1986 წ. 5.I.

ᲐᲦᲖᲠᲓᲐ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲡᲐᲖᲠᲣᲜᲐᲕᲘᲐ

ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ პროგრამის ახალი რედაქციის პროექტში საგანგებო ყურადღება ეთმობა ადამიანის აღზრდის პროცესის სრულყოფას. „ადამიანის აღზრდა, — ნათქვამია პროექტში, — განუყრელია ხალხის საკეთილდღეო აღმშენებლობისთ“ შრომაში, საზოგადოებრივ ცხოვრებაში, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული მშენებლობის ამოცანების გადაწყვეტაში მისი პრაქტიკული მონაწილეობისაგან“.

ჭეშმარიტად ნოვატორულად არის ჩამოყალიბებული კომუნისტური მორალის სტრუქტურული ელემენტები. პირველად შემოდის ხმარებაში „კოლექტიური მორალი“, „ქმედითი მორალი“.

სიახლეებთან ერთად, ჩვენი აზრით, პროგრამის ახალი რედაქციის პროექტში გასათვალისწინებელია ზოგიერთი შენიშვნა, კერძოდ: პროექტის მეორე ნაწილის 3ე-5 თავში, რომელშიც ჩამოყალიბებულია პარტიის ამოცანები იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის დარგში, დაზუსტებას მოითხოვს ჰარმონიულად განვითარებული, საზოგადოებრივად აქტიური პიროვნების ჩამოყალიბებისათვის იდეურ-პოლიტიკური აღზრდის შინაარსი. იგი ასეა ფორმულირებული: „აწარმოოს მიზანმიმართული მუშაობა საბჭოთა ადამიანის იდეურ-პოლიტიკური, შრომითი და ზნეობრივი აღზრდისათვის“, მაგრამ შემდეგ, როცა საქმე მიდგება აღზრდის დარგში პარტიის ამოცანების განსაზღვრაზე, 1961 წლის რედაქციიდან, მექანიკურად თუ სხვა მიზეზით, გადმოტანილია ცნება „მეცნიერული მსოფლმხედველობა“. სინამდვილეში იდეურ-პოლიტიკური აღზრდა არ არის მეცნიერული მსოფლმხედველობის სინონიმი, იგი უფრო ფართო ცნებაა და ადამიანის მსოფლმხედველობრივი მრწამსის შემცველია. ვფიქრობ, პარტიის პროგრამის ახალი რედაქციის პროექტში, პარტიის ამოცანების განსაზღვრისას, „მეცნიერული მსოფლმხედველობის ჩამოყალიბების“ ნაცვლად უნდა იყოს „იდეურ-პოლიტიკური აღზრდა“ და შესაბამისად შეიცვალოს ამ პარაგრაფის პირველი აბზაცი დაახლოებით ასე: „იდეურ-პოლიტიკური აღზრდა, როგორც კომუნისტური აღზრდის ერთ-ერთი მთავარი მიმართულება, მიზნად ისახავს მშრომელთა შეიარაღებას მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობით, მათი სოციალური აქტიურობისა და პოლიტიკური შენგნების ამაღლებას. იდეურ-პოლიტიკური აღზრდის პროცესში მიმდინარეობს ადამიანების მიერ საზოგადოებრივი მოვლენების კლასობრივი არსის შეგნება, მასებს უყალიბდება პოლიტიკური შეხედულებები და წარმოდგენები. სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი საქმეების მართვის ჩვევები, უვითარდება იდეური რწმენა, საზოგადოებრივი მოვალეობების ღრმა შეგნება. კომუნიზმის საქმისადმი დიდი პასუხისმგებლობა და ანტისაზოგადოებრივი მოვლენებისადმი შეურიგებლობა“.

ი. გიგილეიშვილი.

პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატი.

ᲞᲝᲞᲣᲚᲐᲠᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲓᲐᲠᲒᲨᲘ

ᲒᲠᲐᲤᲘᲙᲘᲡ გასწრებით ამზადებენ გარდაბნის რაიონის ლილოს მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის მექანიზატორები სახოფლო-სამეურნეო ტექნიკას მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოებისათვის. ერთიმეორის მიყოლებით მიმდინარეობს ტრაქტორების, კომბაინების, ვენახებისა და ხეხილის ბაღების შეაღებ-ფრეზერული ბანაკი. ეს ბანაკი ბოლო ორი კვირის განმავლობაში ოთხ ტონა ბენზინს, ოცდაათ ტონა ნავთს, ოცდაოთხ ტონა ზეთებსა და ცხელ საპოხ ნივთიერებებს ასხამს ტრაქტორებსა, ავტომობილებსა, ბენზინსაბერებსა, ბენზინგამზომებსა, ბენზინგადამტვერებელ ტანკებსა, ბენზინგადასატანებსა, ბენზინგადასაყრელებსა, ბენზინგადასაყრელ ბოლოებსა, ბენზინგადასაყრელ ბოლოებიანებსა, ბენზინგადასაყრელ ბოლოებიანებიანებსა, ბენზინგადასაყრელ ბოლოებიანებიანებიანებსა, ბენზინგადასაყრელ ბოლოებიანებიანებიანებიანებსა, ბენზინგადასაყრელ ბოლოებიანებიანებიანებიანებიანებსა, ბენზინგადასაყრელ ბოლოებიანებიანებიანებიანებიანებიანებსა, ბენზინგადასაყრელ ბოლოებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებსა, ბენზინგადასაყრელ ბოლოებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებსა, ბენზინგადასაყრელ ბოლოებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებსა, ბენზინგადასაყრელ ბოლოებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებსა, ბენზინგადასაყრელ ბოლოებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებსა, ბენზინგადასაყრელ ბოლოებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებსა, ბენზინგადასაყრელ ბოლოებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებსა, ბენზინგადასაყრელ ბოლოებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებსა, ბენზინგადასაყრელ ბოლოებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანებიანები

ფაქტები • მოვლენები

ПОЛЬША

შედეგები მოიწონეს

ვარშავა, 6 იანვარი (საკდესი). პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს თავის სხდომაზე განიხილა ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს სესიის 41-ე (რიგგარეშე) სხდომის შედეგები და მოიწონა მასში მოწვეული პოლონეთის დელეგაციის საქმიანობა.

ხაზგასმით აღინიშნა, რომ სხდომაზე მიღებული ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების მეცნიერულ-ტექნიკური პროგრამის 2000 წლამდე პერიოდის კომპლექსური პროგრამის შესრულებაში პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მონაწილეობა შეესაბამება პოლონეთის საარსებო ინტერესებს და ხელს შეუწყობს ქვეყნის სახალხო მეურნეობის განვითარების ინტენსიფიკაციას. პროგრამის რეალიზაცია ძირეულად განაახლებს საწარმოო პოტენციალს, შეამცირებს პროდუქციის ენერგო და მასალატევადობას, გაზრდის შრომის ნაყოფიერებას და გააუმჯობესებს ნაწარმის ხარისხს. პროგრამის განხორციელება, როგორც აღინიშნა, ამავე დროს გახდება სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების, განსაკუთრებით პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის წინააღმდეგ ზოგიერთი კაპიტალისტური ქვეყნის მიერ ეგრეთ წოდებული „სანქციების პოლიტიკის“ შემოღების პასუხი.

პოლიტბიუტრმ აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს 1986 წელს მშვიდობის საერთაშორისო წლის მოწყობას, რაც შექმნის მშვიდობის პოლიტიკის, დაძაბულობის შენელების, განიარაღებისა და მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპებზე საერთაშორისო თანამშრომლობის ხელშემწყობ ატმოსფეროს.

ИТАЛИЯ

დაქაბულობის შენელების სტიმული

კომპარტიის გენერალური მდივნის ა. ნატას ინტერვიუ

რომი, 6 იანვარი (საკდესი). იტალიის კომუნისტური პარტიის გენერალურმა მდივანმა ალესანდრო ნატამ ინტერვიუ მისცა გაზეთ „უნიტას“, რომელშიც შეეხო მთელ რიგ აქტუალურ საერთაშორისო პრობლემებს, აგრეთვე შეეხო შინაპოლიტიკური მდგომარეობა ქვეყანაში.

შეეხო რა შარშან ნოემბერში გამართულ საბჭოთა კავშირ-ამერიკის უმაღლესი დონის ჟენევის შეხვედრას, ა. ნატამ თქვა, რომ მან, უეჭველია, ხელი შეუწყო საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების დიალოგის განახლებას, სტიმული მისცა საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას. იტალიის კომუნისტურ პარტიას მიაჩნია, რომ ამ პირობებში უაღრესად საჭიროა ხელი შეუწყოს დასახული პოზიტიური ცვლილებების გაღრმავებას. პარტია გმობს იმ პოლიტიკურ ძალებს, რომლებიც ირეწენ უუნარობას იმოქმედონ ამ დიდმნიშვნელოვანი მიმართულებით.

შეეხო რა რომისა და ვენის აეროპორტებში მომხდარ ტეროროისტულ აქციებთან დაკავშირებულ ამასწინანდელ მოვლენებს, ა. ნატამ მხარი დაუჭირა ძალისხმევის გაკეთებას ახლო აღმოსავლეთის კრიზისის ეფექტიანი მოწესრიგების, პალესტინის პრობლემის გადაჭრისათვის სამართლიანი მოლაპარაკების უსწრაფესი დაწყების მიზნით. იტალიის კომპარტია ყველა სახელმწიფოს, მთელ დემოკრატიულ ძალებს მოუწოდებს მაქსიმალური პასუხისმგებლობა გამოიჩინონ ამ საკითხში, აღნიშნა მან.

იტალიის კომპარტიის ხელმძღვანელი შეეხო აგრეთვე შინაპოლიტიკურ მდგომარეობას. მან, კერძოდ, აღნიშნა, რომ ახლანდელ ხუთპარტიულ მთავრობას არ შესწევს უნარი მართოს ქვეყანა. ამას მოწმობს იტალიის არნახული ეკონომიკური პრობლემები, რომლებიც ვერა და ვერ გადაჭრილა. სწრაფი ტემპით მატულობს სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი, მატულობს უმუშევრობა. საზოგადოებრიობის განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს სამუშაოთა ახალგაზრდობის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ჭეშმარიტად ტრაგიკული მდგომარეობა. მმართველ კაბინეტს დღემდე არ წამოუყენებია მწვავე კრიზისის დაძლევისათვის ეფექტიანი პროგრამა, თქვა ა. ნატამ.

● პორტუგალია

მრთიანი კანდიდატის გამარჯვებისათვის

ლისაბონი, 6 იანვარი. (საკდესი). უზრუნველყონ დემოკრატიული ძალების ერთიანი კანდიდატის გამარჯვება პრეზიდენტის მომავალ არჩევნებში, რომელიც 26 იანვარს გაიმართება — ასეთი ამოცანა დაისახეს პორტუგალიის კომპარტიის ეროვნული კონფერენციის მონაწილეებმა.

კონფერენციის დელეგატთა წინაშე გამოსულმა პორტუგალიის კომპარტიის გენერალურმა მდივანმა ა. კუნიალმა აღნიშნა, რომ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს არჩევნებს ქვეყნის პოლიტიკური მომავლისათვის.

კონფერენციის მონაწილეთა მიერ ერთსულოვნად მიღებულ პოლიტიკურ რეზოლუციაში აღნიშნულია, თუ რაოდენ საჭიროა დაამარცხონ მემარჯვენე წრეების წარმომადგენლები. „ანდიდატი, რომელსაც შეუძლია გააერთიანოს ფართო დემოკრატიული ძალები და უზრუნველყოს მათი გამარჯვება, ხაზგასმულია რეზოლუციაში, არის ფ. სალგადო ზენია, რომელსაც მხარს უჭერენ სახელმწიფოს ახლანდელი მეთაურის მომხრეები, სოციალისტების ნაწილი და სხვა ოპოზიციური წრეები.

ამავე დროს დელეგატებმა მიიღეს გადაწყვეტილება გახანგრძლივონ პორტუგალიის კომპარტიის კანდიდატის ა. ვეელოზუს მხარდაჭერის კამპანია, რათა მიაღწიონ ყველა დემოკრატიულ ერთიანობასა და თანხმობას.

ИРАН-ИРАКИს კონფლიქტი

ბაღდადი, 6 იანვარი (საკდესი). ერაყის ავიაციამ კვლავ დაბომბა ნავთობჩასასხმელი ნაგებობანი ჰარკის კუნძულზე, აგრეთვე იერიში მიიტანა „დიდ საზღვაო მიზანზე“ ირანის სანაპიროს მახლობლად, ნათქვამია ერაყის მთავარი სამხედრო სარდლობის კომუნიკეში. ოპერაციებში მონაწილე თვითმფრინავები დაბრუნდნენ თავიანთ ბაზებში. ბრძოლების დროს ფრონტის ცენტრალურ უბანზე მოსპობილია მოწინააღმდეგის ექვსი გამაგრებული პოზიცია და ტყვია-წამლის საწყობი.

ირანის შორსმსროლელმა არტილერიამ ცეცხლი დაუშინა ქალაქ ფაოს და ქალაქ მანდალის მიდამოებს, ნათქვამია კომუნიკეში.

ნიკოზია, 6 იანვარი. (საკდესი). ირანის ირნას სააგენტოს ცნობის თანახმად, საბრძოლო მოქმედება წარმოებდა ფრონტის დასავლეთ და სამხრეთ უბნებზე. ერაყის ჯარებს მოუვდათ ცოცხალი ძალისა და ტექნიკის ზარალი. ირანის საჰაერო თავდაცვის სამფალნებმა მოიგერიეს ერაყის ავიაციის იერიშები ირანის ჯარების პოზიციებზე სამხრეთის მიმართულებით.

ირანის საინფორმაციო სააგენტო აღნიშნავს, რომ ფრონტის მთელი ხაზის გასწვრივ გრძელდებოდა საარტილერიო დუელი.

ერაყის არტილერია ცეცხლს უშენდა ქალაქ აბადანს.

მოკლედ

● **რომი.** 1985 წელს წინა წელთან შედარებით 8,6 პროცენტით გაძვირდა ცხოვრება იტალიაში. ამ მონაცემებს იტყობინება სტატისტიკის ცენტრალური ინსტიტუტი. ამრიგად, ინფლაციამ გადააჭარბა მთავრობის მიერ დადგენილ წლიური მატების შვიდპროცენტიან „ზღვარს“. განსაკუთრებით გაძვირდა წლის მანძილზე ტანსაცმელი, კვების პროდუქტები, გაიზარდა ელექტრობისა და ბინების გათბობის, სხვადასხვა სამსახურის ფასი.

● **კარაკასი.** 1985 წლის დამლევისათვის შექმნილი მდგომარეობით ლათინური ამერიკის სახელმწიფოთა საგარეო ვალმა 368 მილიარდ დოლარს მიაღწია. მისი 68 პროცენტი ანუ 249,63 მილიარდი, ნათქვამია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ლათინური ამერიკის ეკონომიკური კომისიის აქ გავრცელებულ ცნობაში, მოდის ბრაზილიაზე, მექსიკასა და არგენტინაზე.

მოვალეთა შორის კვლავ „ლიდერობს“ ბრაზილია — 101,93 მილიარდი. მას მოსდევენ მექსიკა — 97,7 და არგენტინა — 50 მილიარდი დოლარი.

მომავალი ახალ ცხოვრებას ეკუთვნის

7 იანვარი კამპუჩიის ეროვნული აღორძინების დღეა



7 იანვარს სახალხო კამპუჩია ეროვნული აღორძინების მეშვიდე წლისთავს აღნიშნავს. რესპუბლიკის დედაქალაქს დამასკოს ქუჩებსა და მოედნებზე ალისფერი დროშები და ტრანსპარანტები ფრიალებენ, საუცხოო შადრევნები დამოუკიდებლობის ძეგლისაკენ მიმავალ ბულვარზე საოამობით ცისარტყელას ფერებად ინთება. ეს ბულვარი პნომპენელთა საყვარელი დასასეირნებელი ადგილია. მათ უყვართ აქ მოსვლა, რათა ბავშვებთან ერთად გაისეირნონ, მეგობრებთან ერთად კაფეებში ფინჯან ჩაის მოუსხდნენ და დაისვენონ დაძაბული შრომის შემდეგ.

მუშაობა კი ახალგაზრდა რესპუბლიკას ახლა ბევრი უხდება. მძიმე მემკვიდრეობა დაუტოვა სახალხო კამპუჩიას პოლპოტელთა გენოციდის რეჟიმმა. მთლად გაპარტახებული იყო ეროვნული ეკონომიკა, მოსპეს თითქმის სამი მილიონი კამპუჩიელი — მუშები, მასწავლებლები, ექიმები, მუსიკოსები, მსახიობები, ხელოსნები, სხვა პროფესიის ადამიანები. დაინგრა ფაბრიკები და სახელოსნოები, სკოლები და საავადმყოფოები. ქვეყანაში ეპიდემიები და შიმშილი მძვინვარებდა.

რევოლუციის გამარჯვების პირველი დღეებიდანვე ახალგაზრდა რესპუბლიკას მრავალი ამოცანის გადაწყვეტა მოუხდა. დასავლეთში მიაჩნიათ, რომ ბარბაროსული რეჟიმის შედეგების დაძლევას ათწლეულები დასჭირდებოდა, მაგრამ კამპუჩიელმა ხალხმა, რომელმაც სოციალისტური საზოგადოების საფუძვლების მშენებლობის გზა აირჩია, სახალხო რევოლუციური პარტიის ხელმძღვანელობით და საბჭოთა კავშირის, ვიეტნამის, სხვა სოციალისტური ქვეყნების ძმური დახმარებით სულ რაღაც შვიდ წელიწადში დიდ წარმატებებს მიაღწია ეროვნული ეკონომიკის, კულტურის, ჯანმრთელობის დაცვისა და განათლების აღორძინებისა და განვითარების საქმეში. განსაკუთრებით აღსანიშნავია მიღწევები სამრეწველო წარმოების სფეროში. ამჟამად ამოქმედებული საწარმოების რიცხვი 70-ს აღემატება, ხოლო სხვადასხვა სახელოსნოების რიცხვმა თითქმის ორი ათასს მიაღწია. წლითიწლობით იზრდება მთლიანი ეროვნული პროდუქტი, კამპუჩიის ტრადიციული საქონლის ექსპორტი.

ეროვნული ეკონომიკის აღდგენის საქმეში დიდი წვლილი შეაქვს რესპუბლიკის ახალგაზრდა მუშათა კლასს. დღესასწაულის წინ შეჯამეს შარშანდელი შედეგები, დაასახელეს მოწინავეები. საუკეთესოთა შორის აღნიშნეს ფოსტის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სამინისტროს ავტოსატრანსპორტო საწარმოს შრომითი კოლექტივი. კარგი სტარტი აიღო კოლექტივმა მიდინარე წელსაც. თავიდან კი ყველაფერი ფაქტობრივად ნულიდან დაიწყო — ათი ძველი, ნახევრად მოშლილი ავტომანქანით. არ ჰქონდათ სარემონტო ბაზა, საწვავი, არ ჰყოფნდათ სათადარიგო ნაწილები, რაც მთავარია, არ ჰყავდათ კვალიფიციური სპეციალისტები. ამჟამად საწარმო მყარად დგას ფეხზე. ტვირთის გადატანისა და მგზავრთა გადაყვანის შეკვეთებს ფაქტობრივად მთელი ქვეყნის მასშტაბით იღებენ. შეიქმნა სარემონტო ბაზა. მომზადდა კვალიფიციური მძღოლები, მექანიკოსები, მერემონტელები.

კამპუჩიელ ტრანსპორტელებს დიდ დახმარებას უწევენ საბჭოთა სპეციალისტები.

...პნომპენში და საერთოდ მთელ ქვეყანაში ყველაზე ადრე ტრანსპორტის მუშაკები დგებიან, მათ მუდამ დიდი მუშაობა ელით. საჭიროა ათასობით ადამიანის — მუშების, სტუდენტების, მოსამსახურეების, მოსწავლეების გადაყვანა, ქვეყნის შორეულ კუთხეებში საჭირო ტვირთის გადაზიდვა. მათი შრომა კი ყველა კამპუჩიელის შრომას ერწყმის. გავა კიდევ ცოტა დრო და სახალხო კამპუჩია გადაწყვეტს თავის პრობლემებს, დაძლევს სიძნელეებს. და ეს იმიტომ, რომ მომავალი ახალ ცხოვრებას ეკუთვნის, იმიტომ, რომ კამპუჩიის გვერდით ნამდვილი მეგობრები არიან.



სურათებზე: დამოუკიდებლობის ძეგლი; ახალგაზრდა კამპუჩიელი დედები; აჩარ მინის ქუჩა პნომპენის ცენტრში.

საკდესის ფოტო.

ФАКТИС КОМЕНТАРИ

ლიბანი დაღალა ომმა

დამასკოს შეთანხმებას ლიბანში დიდი კმაყოფილებით და იმედით შეხვდნენ. მის მნიშვნელობას განსაზღვრავს უწინარეს ყოვლისა ის, რომ ეგი მოწოდებულია მოლო მოულოს უაზრო სისტოლიღვრასა და შეწყვეტოს ძმათაშორისი ომი ლიბანში.

შეგახსენებთ, რომ ჯერ კიდევ 1975 წელს ამ პატარა არაბულ ქვეყანაში ატყდა სამოქალაქო ომი, რომლის მიზეზი არა მარტო პოლიტიკური უთანხმოება და სოციალური პირობებია, არამედ ლიბანის ისტორიის თავისებურებაც.

ისტორიულად ისე მოხდა, რომ ამ ქვეყნის ტერიტორიაზე თხუთმეტზე მეტი როგორც ქრისტიანული, ისე მაჰმადიანური რელიგიური თემია. დამოუკიდებლობის მიღების დროს ქვეყნის სახელმწიფო წყობილებას საფუძვლად დაედო რელიგიური პრინციპი (იგრეთ წოდებული კონფესიონალიზმი), ამასთან ზოგიერთ თემს გარკვეული უპირატესობანი მიენიჭა. ლიბანში არსებული რთული საშინაო-პოლიტიკური სიტუაციით ისარგებლეს მტრულმა ძალებმა, უწინარესად ისრაელმა და მის ზურგს უკან მდგომმა შეერთებულმა შტატებმა. აღვივებდნენ რა თემთა შორის და სოციალურ კონფლიქტებს, მათ პროვოკაციულად გამოიწვიეს ფართო მასშტაბის საშინაო შეტაკებანი.

ათ წელზე მეტია გრძელდება სამოქალაქო ომი ლიბანში, რომელიც არაერთხელ გამწვავებულა ისრაელისა და ამერიკის შეერთებული შტატების ამ აშკარა ჩარევითა და შეიარაღებული ინტერვენციით. ბუნებრივია, რომ ომისგან დაღლილი ლიბანის მრავალტანჯული ხალხის დიდი უმრავლესობა სიხარულით შეხვდა დამასკოს შეთანხმებას, რომლის მთავარი შინაარსია მოწინააღმდეგე დაჯგუფებებს შორის ყველა საომარი მოქმედების შეწყვეტა.

ბუნებრივია, თითოეული მათგანი ძირითადად თავისი დარგის თვალთახედვით, თავისი პროფესიული ინტერესებით აფასებს ორტომეულს. ოღონდ ყველა ისინი ერთ რამეში საოცრად ერთსულოვანი არიან — უყოყმანოდ მიიჩნევენ მას ეპოქალური მნიშვნელობის კაპიტალურ მეცნიერულ ნაშრომად.

თავდაპირველად გავეცნოთ საზღვარგარეთიდან გამოგზავნილ ბარათებს. ვნახოთ, რას სწერენ უცხოელი კოლეგები თავიანთ სახელოვან ადრესატს — სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიისა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, ამერიკის შეერთებული შტატების ხელოვნებათა და მეცნიერებათა აკადემიის, ბრიტანეთის მეცნიერებათა აკადემიისა და ავსტრიის მეცნიერებათა აკადემიის უცხოელ საპატიო წევრს, აკად. გ. წერეთლის სახელობის ალმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის დირექტორს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატს და კიდევ არაერთი სხვა მაღალი წოდებულებით ღირსეულად შემკულ მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს თამაზ ვალერიანის ძე გამყრელიძეს.

გამოჩენილი დასავლეთგერმანელი ინდოევროპეისტი ენათმეცნიერი **ოსვალდ სემერენი**, რომლის კაპიტალური გამოკვლევა ინდოევროპულ ენათა შედარებითი გრამატიკის შესახებ ამ რამდენიმე წლის წინათ მოსკოვში რუსულ ენაზე გამოიცა, აკად. თ. გამყრელიძისა და პროფ. ვ. ივანოვის ორტომეულს მიიჩნევს კლასიკურ ნაშრომად არა მარტო საბჭოთა, არამედ საზოგადოდ ინდოევროპულ ენათმეცნიერებაში. „მე არ მეგულება ბოლო ნახევარი საუკუნის განმავლობაში შექმნილი ამის ბადალი სხვა ნაშრომი“, — დასძენს იგი და ამ ნაშრომს „არაჩვეულებრივ მიღწევას“, „ხელოვნურად შექმნილ ძეგლს“ უწოდებს.

ორტომეულის რუსული გამოცემით აღტაცებულია გამოჩენილი ამერიკელი ენათმეცნიერი **ედგარ პოლომე,** ამ ნაშრომის მომავალი ინგლისური გამოცემის რედაქტორი. იგი აკად. თ. გამყრელიძეს ატყობინებს, რომ დე გროიტერის გამომცემლობაში (ჰოლანდია-დასავლეთ გერმანიის უდიდესი გამომცემლობაა. — **რედ.**) მეორე ტომი უკვე თარგმნილი და რედაქტირებულია, ხოლო პირველი ტომის თარგმნა ამჟამად მიმდინარეობს, მაგრამ გამოცემის დასაჩქარებლად უკვე დაწყებულია მეორე ტომის აწყობა და პოლიგრაფიული დამუშავება.

დიდი დანიელი ენათმეცნიერი ქალი **ელი ფიშერ-იორგენსენი** (კ. კოპენჰაგენი) წერს: „ეს ნაშრომი ინდოევროპეისტიკის სიტუაციაში ისარგებლეს მტრულმა ძალებმა, უწინარესად ისრაელმა და მის ზურგს უკან მდგომმა შეერთებულმა შტატებმა. აღვივებდნენ რა თემთა შორის და სოციალურ კონფლიქტებს, მათ პროვოკაციულად გამოიწვიეს ფართო მასშტაბის საშინაო შეტაკებანი.

ათ წელზე მეტია გრძელდება სამოქალაქო ომი ლიბანში, რომელიც არაერთხელ გამწვავებულა ისრაელისა და ამერიკის შეერთებული შტატების ამ აშკარა ჩარევითა და შეიარაღებული ინტერვენციით. ბუნებრივია, რომ ომისგან დაღლილი ლიბანის მრავალტანჯული ხალხის დიდი უმრავლესობა სიხარულით შეხვდა დამასკოს შეთანხმებას, რომლის მთავარი შინაარსია მოწინააღმდეგე დაჯგუფებებს შორის ყველა საომარი მოქმედების შეწყვეტა.

თელ-ავივის მმართველმა წრეებმა აშკარა უკმაყოფილება გამოთქვეს დამასკოს მორიგების გამო და მაშინვე გააქტიურეს პროვოკაციები ლიბანის წინააღმდეგ, თავიანთი აგენტურის საქმიანობა. მაგრამ ლიბანელ ხალხს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი ჩაფუშოს სიონიზმისა და იმპერიალიზმის საშიში გეგმები, ყოველი ღონე იხმაროს, რათა ქვეყანა იხსნას ახალი სამოქალაქო ომისაგან. ქვეყნის პატრიოტებს თავიანთ ამოცანად მიაჩნიათ ის, რომ განახორციელონ დამასკოში ხელმოწერილი დოკუმენტი, ახალი ლიბანის შენებლობის პროცესში ჩააბან ყველა თემი, პარტია და ორგანიზაცია, არ დაუშვან ნორმალიზაციის დასახული პროცესის შეწყვეტა.

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲠᲔᲖᲝᲜᲐᲜᲡᲘ

გამოცდილი აკადემიკოს თამაზ გამყრელიძისა და პროფესორ ვიაჩესლავ ივანოვის კაპიტალურ ნაშრომზე

ᲪᲮᲠᲐ ათეული წლის წინათ გაზეთ „ევერიის“ საახალწლო ნომერში ილია ჭავჭავაძე უდიდესი გულისტკივილით წერდა:

„ჰა, ერთი კიდევ ახალი წელიწადი!.. რა მოვულოცოთ ჩვენს თავს, ქართველნო? რა გვაქვს დღეს სასურველი, რომ დავიკვნთ და შევირჩინოთ?... უკან მოვიხედავთ ამ ახლო ხანებში და ისეთი არა გვრჩება რა, რომ თავი მოვიწონოთ... რა გითხრათ? რით გაგახარო?“.

მოდით, ჩვენც დავსვათ ერისათვის, ხალხისათვის, ქვეყნისათვის სისხლხორცეული ეს კითხვები: „რა გვაქვს დღეს სასურველი, რომ დავიკვნთ და შევირჩინოთ?.. რომ თავი მოვიწონოთ?..“

ჩვენდა საბედნიეროდ, ბევრი, ძალიან ბევრი რამ!

ამ წერილში ერთ-ერთ მათგანზე მიხდა შევიჩერო გაზეთ „კომუნისტის“ მკითხველთა ყურადღება. ეს გახლავთ აკადემიკოს **თამაზ გამყრელიძის** ორტომიანი კაპიტალური მონოგრაფია „ინდოევროპული ენა და ინდოევროპელები“, რომელიც შესანიშნავი რუსი საბჭოთა მეცნიერის, პროფესორ **ვიაჩესლავ ივანოვის** თანავტორობით არის შექმნილი და რომელიც ახლახან ჩინებულად გამოსცა თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობამ.

ამ ორტომეულმა, რომ იტყვიან, პირდაპირ „აფორიაქა“ მსოფლიო სამეცნიერო ცენტრები — მოსდის და მოსდის ბატონ თამაზს აღტაცების გამომხატველი ბარათები მრავალი ქვეყნისა და მრავალი დარგის გამოჩენილ მეცნიერთაგან: ინგლისელ და ამერიკელ, ფრანგ და იტალიელ, გერმანელ და იაპონელ, დანიელ და ჰოლანდიელ, ფინელ და პოლონელ, ავსტრიელ და ჩეხოსლოვაკიელ, ირლანდიელ და არაერთი სხვა ქვეყნის — მათ შორის, ცხადია, თვით ჩვენი მრავალეროვანი ქვეყნის — ლინგვისტთა, ისტორიკოსთა, არქეოლოგთა, ეთნოგრაფთა თუ ანთროპოლოგთაგან...

ბუნებრივია, თითოეული მათგანი ძირითადად თავისი დარგის თვალთახედვით, თავისი პროფესიული ინტერესებით აფასებს ორტომეულს. ოღონდ ყველა ისინი ერთ რამეში საოცრად ერთსულოვანი არიან — უყოყმანოდ მიიჩნევენ მას ეპოქალური მნიშვნელობის კაპიტალურ მეცნიერულ ნაშრომად.

თავდაპირველად გავეცნოთ საზღვარგარეთიდან გამოგზავნილ ბარათებს. ვნახოთ, რას სწერენ უცხოელი კოლეგები თავიანთ სახელოვან ადრესატს — სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიისა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს, ამერიკის შეერთებული შტატების ხელოვნებათა და მეცნიერებათა აკადემიის, ბრიტანეთის მეცნიერებათა აკადემიისა და ავსტრიის მეცნიერებათა აკადემიის უცხოელ საპატიო წევრს, აკად. გ. წერეთლის სახელობის ალმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის დირექტორს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატს და კიდევ არაერთი სხვა მაღალი წოდებულებით ღირსეულად შემკულ მეცნიერსა და საზოგადო მოღვაწეს თამაზ ვალერიანის ძე გამყრელიძეს.

გამოჩენილი დასავლეთგერმანელი ინდოევროპეისტი ენათმეცნიერი **ოსვალდ სემერენი**, რომლის კაპიტალური გამოკვლევა ინდოევროპულ ენათა შედარებითი გრამატიკის შესახებ ამ რამდენიმე წლის წინათ მოსკოვში რუსულ ენაზე გამოიცა, აკად. თ. გამყრელიძისა და პროფ. ვ. ივანოვის ორტომეულს მიიჩნევს კლასიკურ ნაშრომად არა მარტო საბჭოთა, არამედ საზოგადოდ ინდოევროპულ ენათმეცნიერებაში. „მე არ მეგულება ბოლო ნახევარი საუკუნის განმავლობაში შექმნილი ამის ბადალი სხვა ნაშრომი“, — დასძენს იგი და ამ ნაშრომს „არაჩვეულებრივ მიღწევას“, „ხელოვნურად შექმნილ ძეგლს“ უწოდებს.

ორტომეულის რუსული გამოცემით აღტაცებულია გამოჩენილი ამერიკელი ენათმეცნიერი **ედგარ პოლომე,** ამ ნაშრომის მომავალი ინგლისური გამოცემის რედაქტორი. იგი აკად. თ. გამყრელიძეს ატყობინებს, რომ დე გროიტერის გამომცემლობაში (ჰოლანდია-დასავლეთ გერმანიის უდიდესი გამომცემლობაა. — **რედ.**) მეორე ტომი უკვე თარგმნილი და რედაქტირებულია, ხოლო პირველი ტომის თარგმნა ამჟამად მიმდინარეობს, მაგრამ გამოცემის დასაჩქარებლად უკვე დაწყებულია მეორე ტომის აწყობა და პოლიგრაფიული დამუშავებაო.

დიდი დანიელი ენათმეცნიერი ქალი **ელი ფიშერ-იორგენსენი** (კ. კოპენჰაგენი) წერს: „ეს ნაშრომი ინდოევროპეისტიკის ნამდვილი კომპენდიუმია, რომელშიც კლასიკური ინდოევროპული სისტემის სრულიად ახლებური გაგრძელებაა მოცემული“.

თბილისთან დაძმობილებულ ქალაქ საარბრიუკენის უნივერსიტეტის პროფესორი, გამოჩენილი დასავლეთგერმანელი ინდოევროპეისტი ენათმეცნიერი **რიუდიგერ შმიდტი** ხაზგასმით აღნიშნავს ორტომეულის სოცრად ვრცელ თემატურ დიაპაზონს, უწოდებს მას უდიდეს ნაშრომს („ოპუს მაქსიმუმ“) და დაასკვნის, რომ სახელგანქმული გერმანელი მეცნიერების ჰირტისა და შრადერის შემდეგ (XIX ს. დამლევი და XX ს. დამდეგი) ასეთი მონუმენტური ნაშრომი არ შექმნილა ინდოევროპეისტიკაში.

ცნობილი ნიუიორკელი ენათმეცნიერის **პოლ ჰოპერის** აზრით, ეს ორტომეული „წარმოადგენს დიდმნიშვნელოვან ენციკლოპედიურ ნაშრომს, რომლის მსგავსი დღემდე არაფერი შექმნილა და რომელიც რევოლუციურ ზემოქმედებას იქონიებს მთელი დარგის განვითარებაზე“.

დიდი ავსტრიელი ინდოლოგი და ინდოევროპეისტი ენათმეცნიერი **მანფრედ მაიერჰოფერი** (ვენის უნივერსიტეტი) აღფრთოვანებულია ამ ნაშრომით და მას თანამედროვე ინდოევროპული ენათმეცნიერების ფუძემდებლურ გამოკვლევას („მაგნუმ ოპუს“) უწოდებს.

გამოჩენილი ჰოლანდიელი მეცნიერი **კოიპერი** (ლეიდენის უნივერსიტეტი), რომელიც დიდად გახარებულია ორტომეულის გამოსვლით, აკად. თ. გამყრელიძეს სწერს, სავსებით ვიზიარებ თქვენი ნაშრომის ძირითად დებულებებს ლინგვისტიკისა და ეთნოგენეზის საკითხებშიო.

ერთობ აღტაცებულია ამ ნაშრომის „უაღრესად ღრმა შინაარსით“ დიდი დასავლეთგერმანელი ასირიოლოგი, პროფესორი **ვოლფრამ ფონ ზოდენი** (მიუნსტერის უნივერსიტეტი). განსაკუთრებთ მოსწონს მას ორტომეულის ის ადგილები, სადაც ინდოევროპულ-სემიტური ურთიერთობისა და ინდოევროპელთა მიგრაციის პრობლემებია გაშუქებული.

გამოჩენილი ჩრდილოირლანდიელი არქეოლოგი **ჯ. მალორი** (ქ. ბელფასტი) უდიდეს კმაყოფილებას გამოთქვამს ორტომეულის ავტორთა სწორედ არქეოლოგიური კვლევა-ძიების ბრწყინვალე შედეგების გამო.

აკად. თ. გამყრელიძისა და პროფ. ვ. ივანოვის ორტომეულით ღრმა დაინტერესების თავისებური გამოხატულებაა ცნობილი ფრანგი ანთროპოლოგისა და ეთნოგრაფის **კლოდ ლევი-სტროსის** ბარათის შემდეგი სიტყვები: „სამწუხაროდ, რუსული ენა მე სრულყოფილად არ ვიცი, მაგრამ თქვენი ნაშრომის გაცნობა არავითარ ეჭვს არ ტოვებს, რომ იგი უდიდესი მნიშვნელობის ნაშრომია“.

გამოჩენილი ავსტრიელი ენათმეცნიერი, პროფესორი **გეორგ ზოლტა** (ვენის უნივერსიტეტი) მოხიბლულია ორტომეულის უდიდესი თემატური დიაპაზონით და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „ამ მასშტაბის ნაშრომი არ შექმნილა ათეული წლების განმავლობაში“.

ორტომეულს „კაპიტალურ და ფუძემდებლურ ნაშრომს“ უწოდებს გამოჩენილი ამერიკელი მეცნიერი **ჰენრიკ ბირნბაუმი,** „ხოლო ცნობილი პროფესორები იტალიელი **ვიტორე პიზანი** და ამერიკელი **რობერტ აუსტერლიცი** — „შონუმენტურ ძეგლს“, ეს უკანასკნელი აკად. თ. გამყრელიძეს ასეთ „რჩევასაც“ კი აძლევს: „სინამდვილეში თქვენ უკვე შეგიძლიათ საერთოდ შეწყვეტოთ მეცნიერული მუშაობა, ვინაიდან თქვენ ამ ნაშრომით იმდენი რამ გააკეთეთ, რომ, სულ ცოტა, ორ თაობას მაინც ეყოფა შესასწავლად“.

ასევე მრავლისმთქმელია გამოჩენილი ამერიკელი ენათმეცნიერის **ვინფრიდ ლემანის** აღიარება — აკად. თ. გამყრელიძისა და პროფ. ვ. ივანოვის ამ ნაშრომის წყალობით ინდოევროპელი ენათმეცნიერების ცენტრმა სსრ კავშირში გადაინაცვლა.

ორტომეულის გამოსვლის გამო აღტაცებას გამოთქვამენ, ამ კაპიტალური ნაშრომის უდიდეს მეცნიერულ მნიშვნელობას აღიარებენ და აკად. თ. გამყრელიძეს წარმატებას ულოცავენ გამოჩენილი ინგლისელი პროფესორი **ილია გერშევიჩი** (კემბრიჯის უნივერსიტეტი), ცნობილი ამერიკელი პროფესორი **უან პუველი** (კალიფორნიის უნივერსიტეტი), თვალსაჩინო ამერიკელი ენათმეცნიერი ქალი **ილზე ლეჰისტე** (ოჰაიოს უნივერსიტეტი), ცნობილი გერმანელი პროფესორი **ბენფრიდ შლერატი** (დასავლეთ ბერლინის უნივერსიტეტი), თვალსაჩინო ფინელი მეცნიერი, პროფესორი **იორმა კოივულეჰტო** (ჰელსინკის უნივერსიტეტი), გამოჩენილი ინგლისელი ასირიოლოგი, პროფესორი **ვ. ვ. ლამბერტი** (ბირმინგემის უნივერსიტეტი), თვალსაჩინო ჩეხოსლოვაკიელი ენათმეცნიერი-ინდოევროპეისტი, პროფესორი **იან კრამსკი** (პრაღა), გამოჩენილი ინგლისელი მეცნიერი, პროფესორი **სიდნეი ალენი** (კემბრიჯის უნივერსიტეტი), ცნობილი გერმანელი ენათმეცნიერი **კლაუს შტრუნკი** (მიუნხენის უნივერსიტეტი), თვალსაჩინო პოლონელი ენათმეცნიერი, პროფესორი **ვიტოლდ მანჩაკი** (კრაკოვის უნივერსიტეტი), გამოჩენილი დასავლეთგერმანელი ხეთოლოგი, პროფესორი **გიუნტერ ნიიმანი** (ვიურტსბურგის უნივერსიტეტი), ცნობილი იაპონელი ინდოევროპეისტი, პროფესორი **ტადაო შიმომია,** რომელსაც გამოქვეყნებული აქვს წიგნი ქართული ენის გრამატიკის შესახებ, და მრავალი სხვა თვალსაჩინო საზღვარგარეთელი მეცნიერი.

აქ მოკლებული ვართ იმის საშუალებას, რომ ყოველი მათგანი ცალ-ცალკე მოვიხსენიოთ. ოღონდ, მიღებული ბარათების თემატიკაზე უფრო სრული წარმოდგენა რომ ვიქონიოთ, გავეცნოთ კიდევ ერთი ბარათის შინაარსს.

საქსონიის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, პროფესორი **ვ. ბანერი,** რომელიც ლინგვისტთა მომავალი, XIV საერთაშორისო კონგრესის პრეზიდენტად არის არჩეული (კონგრესი განზრახულია გაიმართოს 1987 წელს ბერლინში), მიწვევის ბარათში დაბეჭდილებით სთხოვს აკად. თ. გამყრელიძეს კონგრესის პლენარულ სხდომაზე გამოვიდ

ღვიძლი თუ გერიე?!

სათქმელი, რაც უნდა მქონდა იყოს, მაინც თავში გაცხადებული ჯობს: ბახმაროს — ამ უნიკალურსა და საქართველოს კურორტთაგან ერთობ გამორჩეულ — იმთავითვე დაებედა ყოფილიყო ობოლ მარგალიტივით ერთადერთი და თითო-ოროლა მოაგარაკის ხელმოკლე მასპინძელი. წლების მანძილზე იშვიათად თუ გაახსენდებოდა ვინმეს ეს თვალწარმტაცი კუთხე, და, ისიც იობის მოთმინებით ელოდა, როდის გამოცხვებოდა მისი ობლის კვერი, როდის შეამჩნევდნენ „მთის შწვერვალზე, ცის მანლობლად"...

საკვერველი ის არის და გულსატკივნიც, რომ ბახმაროს აუწყვეტ სიკეთით ყველას სჯეროდა — მინაურსაც და უცხოსაც, მაგრამ ბუნების ამ მადლის ჯეროვანი გამოყენება ქრისტეს პერანგი გახდა!..

ზაფხულის დამდეგს „სული მოაგარაკე ზაფხულის მიწურულზე აიკრავდა გუდა-ნაბადს და ეშვიდობებოდა ბახმაროს — შიმოდგომის ავდარში უგზობის გამო ნარჩენსა ეშინოდა. და ბახმაროც მოსაწყენი წიგნივით იხურებოდა მომავალ სეზონამდე.

თუმცა, საკთხავია, რატომ წარსულ დროში ვამბობთ ყოველივე ამას და დღემდე ასეაო, არ დაძენთ — ყველას გასაგონად?!

მკითხველებს და, რა თქმა უნდა, ცალკეულ ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს, უთუოდ ეხსომებათ „კომუნისტის" მრგვალი მაგიდა (1985 წლის 11 აგვისტო), რომელიც სწორედ კურორტის პრობლემებს მიეძღვნენით.

ეხსომებათო, კი ვამბობთ, მაგრამ ვიეჭვობთ, ყველა უწყებას, რომლებსაც საქართველოს მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 5 აგვისტოს დადგენილებით „კონკრეტულად განესაზღვრა კურორტ ბახმაროში შესასრულებელ სამუშაოთა მოცულობა და ვადები, თანაბრად ახსოვდეთ თავთავიანთი მოვალეობანი.

ასე რომ არ იყოს, უკეცბლივ ყოველი მათგანი გულთან ახლოს მიიტანდა ჩვენს საერთო საკეკვარს, გაზეთის მოწოდებას და კონკრეტულადაც გვიპასუხებდა, რა ღონე ზემოთხინმრული დადგენილების მიღებიდან ჩვენს პუბლიკაციამდე და, პუბლიკაციის შემდეგ — დღემდე.

შარშანდელი 5 ოქტომბრის ფოტოინფორმაციით ჩვენ კვლავ შევახსენეთ სამინისტროთა და უწყებათა პატიცემული ხელმძღვანელებს, რომ ზოგმა ადგილზეც იხილა კურორტის საკალო მდგომარეობა, დაპირებითაც ბევრს დაგვპირდნენ, მაგრამ...

დადგა 1986, და უმრავლესობა კვლავ ღუმილს აჭობინებს. ზოგმა ისიც კი არ უწყის, როგორ წარმართა ბოლო საკვლევაძიები სამუშაოები, გამზადდა თუ არა კურორტის განაშენიანების გენერალური გეგმა და, „უფრო მეტიც, რომ მათ მიერ მივიწყებული ბახმარო კარგა ხანია გადაეცა საქართველოს მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტთა სამმართველოს.

ჩვენც ამ ინფორმაციით ვიწყებთ: „საკავშირო პროფსაბჭოს სამდივნოს 1985 წლის 8 აგვისტოს დადგენილების შესაბამისად საქართველოს პროფკავშირთა კურორტების სამმართველოს რესპუბლიკურ საბჭოს ნება დაერთო კურორტ ბახმაროს დასასენებელი სახლი „ბზის ამოსვლა" გადასცეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტების სამმართველოს გამგებლობაში. ამჟამად მიმდინარეობს მოსამზადებელი მუშაობა ჯანმრთელობის კერის ძირითადი ფონდების გადასაცემად".

აი, რა გვიპასუხეს თავის მხრივ ადგილობრივი მნიშვნელობის კურორტთა სამმართველოდან: „ამჟამად განხილვისა და დამტკიცების სტადიაშია კურორტ ბახმაროს განვითარების გენერალური გეგმა, რომლის პირველი რიგიც 21 მილიონი მანეთის სამუშაოებს თვალისწინებს. გენერალური გეგმის დამტკიცების შემდეგ სამმართველო შეუდგება სამუშაოებს მისი რეალიზაციისათვის და ამ მიზნით ცალკეული სამინისტროებისა და უწყებების წევრობრივი მონაწილეობის განსაზღვრას. კურორტის კეთილმოწყობა და გეგმით გათვალისწინებულ ობიექტთა მშენებლობა შეიძლებელია ნაბიჯლავ-ბახმაროს საავტომობილო გზის რეკონსტრუქციის გარეშე. ამასთან დაკავშირებით, საქკურორტი სვამს საკითხს რესპუბლიკის საავტომობილო გზების სამინისტროს ძალებით აღნიშნულ სამუშაოთა მეთორმეტე ხუთწლედში შესრულების შესახებ".

ცეკავშირის ხელმძღვანელობა კი გვწერს: „კომუნისტის" მრგვალი მაგიდის მონაწილეებმა საქმიანი წინადადებანი წამოაყენეს კურორტის აწმყოსა და მომავალზე...

ბახმაროში მომსახურების გაუმჯობესების თვალსაზრისით გამგეობამ დასახა კონკრეტული ღონისძიებანი. კერძოდ: წლევანდელი საკურორტო სეზონისათვის ადგილობრივ საავჭრო ქსელს საფუძვლიანად გაარემონტებენ, იგი შეივსება ტანსაცმლისა და დასვენებისათვის განკუთვნილი საქონლის ფართო ასორტიმენტით. წლეულსვე დაიწყება სამრეწველო საქონლისა და სასურსათო მაღაზიების მშენებლობა, რომელთა ფართობი შესაბამისად 250 და 96 კვადრატული მეტრი იქნება. ბახმაროს განვითარების გენერალური გეგმის შესაბამისად, მეთორმეტე ხუთწლედში აშენდება პირველადი მომსახურების ობიექტები (პურის მაღაზიები და სავაჭრო ფარდულები), „პერსპექტიული გეგმით გათვალისწინებული გვაქვს პიონერთა ბანაკისა (300 მოსწავლისათვის) და 200-ადგილიანი პანსიონატის მშენებლობა. ამას გარდა, ცეკავშირის გამგეობა წილობრივ მონაწილეობას მიიღებს კურორტის მშენებლობაში".

მეთორმეტე ხუთწლედი კი დაიწყო. და სულ მალე დადგინდება ბახმარო ვისთვის ღვიძლია და ვისთვის — გერი.

ბახმარო — ჩვენი საფიქვარი!

პირობითად ასე შეიძლება ეწოდოს ბახმაროს განაშენიანების ტექნიკურ-ეკონომიკურ დასაბუთებას, რომელიც „საქალაქმშენსახპროექტის" ინსტიტუტის მე-6 არქიტექტორულ სახელოსნოში დაუშავდა.

ავტორთა ჯგუფმა არქიტექტორების მ. ჩხენკელის (ხელმძღვანელი), რ. ჯანაშიას, ვ. დემეტრაძის, შ. სარაჯიშვილის, ი. ქავთიაშვილის, ვ. ხმალაძისა და ინჟინერ-ეკონომისტის ლ. შანიძის შემადგენლობით, „მართლაც რომ, რთული და შრომატევადი სამუშაო შეასრულა. საქართველოს სახშშენის დავალებით უნდა განსაზღვრულიყო სრულწლიანი ფუნქციონირების სამოთ-ტურისტული კომპლექსის შენებლობის შესაძლებლობანი, და ისიც კურორტის ტრადიციული ხასიათის (დასვენებისა და მკურნალობის) შენარჩუნებით. ამასთან, ზედმიწევნით უნდა გეთვალისწინებინათ ადგილზე წარმოებული ყველა საკვლევაძიებო მონაცემი.

არქიტექტორებმა ბახმაროს განვითარების ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების სრულფასოვანი საპროექტო დოკუმენტაციის შესადგენად თავადვე მოწვიეს ქვემოიჯარადრე საპროექტო და საძიებო ორგანიზაციათა წარმომადგენლები. „საესპორტპროექტისა (ჯგუფის ხელმძღვანელი ი. ანისიმოვი) და „საქქალაქმშენსახპროექტის" სპეციალისტებმა, არქიტექტორებთან ი ქავთიარასთან, ვ. მიქელაძესთან და ლ. ლორთქიფანიძესთან ერთად, საფუძველიანად შეისწავლეს ბახმაროს შესაძლებლობანი ზამთრის სპორტისათვის. ამისა პარალელურად, საქმოთავარმგზავლოგიის საძიებო ექსპედიცია (ხელმძღვანელი გ. სიხარულიძე) სასმელი წყლის პრობლემას სწავლობდა. ძიება ძალზე სასურველი შედეგებით დამთავრდა ორივე თვალსაზრისით.

სწორედ ამ მონაცემებზე, და კიდევ, საკავშირო საგეგმო კომიტეტის შრომითი რესურსების გამოყენების საბჭოს ამიერკავკასიის საქტორის ხელმძღვანელის, პროფესორ ეკვენი სალაევის სამეცნიერო კონსულტაციაზე დაყრდნობით დაამუშავა ავტორთა ჯგუფმა კურორტის განვითარების მეცნიერულ-ეკონომიკური დასაბუთება, რომელიც სრულად ითვალისწინებს ბახმაროს ბუნებრივ პირობებს. აი ეს ტექნიკური მონაცემებიც:

კურორტის ფარდობების კონფიგურაცია სხვადასხვა სირთულის საათნილამურო ტრასების მოწყობის საშუალებას იძლევა.

დათოვლილი ფერდობების კარგი განლაგება (ისინი ოთხ ზონად იყოფა) და თვით თოვლის საფარის ბუნებრივი მდგრადობა ნოემბრიდან ვიდრე აპრილამდე, შესაშურ პირობებს ქმნის როგორც მასობრივი სრიალისათვის, ისე სპორტისთვის.

აქ ზღვის დონიდან 1800-2000 მეტრ სიმაღლეზე შეიძლება განლაგდეს კომფორტული საცხოვრებელი კომპლექსები.

ზაფხულობით სრული დატვირთვით შეგვიძლია გამოვიყენოთ სამოო კომპლექსები როგორც მასობრივი დასვენებისათვის, ისე მკურნალობისათვის.

მცირე ბახმაროს, დიდი და პატარა ფაფარას მიდამოები მკვეთრად განსხვავდება ახლომახლო რაიონებისგან გეოგრაფიული თუ კლიმატური თვალსაზრისით. აქ, მართლაც რომ, ფართო შესაძლებლობანია აქტიური დასვენებისა და ტურიზმისათვის.

განსაკუთრებით კარგია ბახმაროს კლიმატი ზამთრის პერიოდში. მდგრადია თოვლის საფარი (მისი დეკადური საშუალო სისქე 207 სმ, მაქსიმალური კი 516 სმ-ია), ზამთრის 189 დღიდან 116 მზიანია; წლიური 1900 მზიანი საათიდან 1300 ზამთრის პერიოდზე მოდის. აქ ერთმანეთს ენაცვლება წყიქოვანი თუ შერეული ტყეები, მათ ზემოთ კი ალპური ზონაა.

ბახმაროს ყველა სიკეთეს ვერც ერთ ჩამოთვლილთ, მაგრამ ამ ძეხწი მონაცემებითაც თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ იგი ყველა-ზე პერსპექტიული მთის რეგიონია მშრომელთა აქტიური დასვენების, სხვადასხვა სნეულებათა პროფილაქტიკისა და განკურნებისათვის, და, რა თქმა უნდა, სპორტისა და ტურიზმის განვითარებისათვის.

კურორტის ტექნიკურ-ეკონომიკურმა დასაბუთებამ კიდევ ერთხელ თვალნათლივ დაგვანახა, რა განძიც გვქონია კერძოდ, ცხადყო, რომ სამოო-ტურისტული ბაზის ტევადობა 3800 ადგილით (ლანდშაფტზე დასაშვები დატვირთვის გათვალისწინებით), ხოლო მომსახურე პერსონალის დასახლებისა — 5000 მცხოვრებით შეგვიძლია განვსაზღვროთ.

სახშშენის სათანადო რეკომენდაციით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ დაამტკიცა კურორტის ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება, რის საფუძველზეც გამზადდა ბახმაროს განაშენიანების გენერალური გეგმა, რომელზეც ჩვენი გაზეთი უახლოეს ხანში მოუთხრობს მკითხველს.

ᲙᲣᲠᲝᲠᲢᲘᲡ ᲡᲐᲓᲐᲠᲑᲐᲖᲝ ᲑᲐᲠᲐᲗᲘ

ᲙᲐᲤᲔᲓᲠᲘᲡ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲘ

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲑᲐ ᲰᲐᲓᲠᲐᲙᲨᲘ

ᲓᲐᲠᲩᲐ 4 ᲞᲠᲔᲢᲔᲜᲓᲔᲜᲢᲘ

1985 ᲬᲚᲘᲡ გვარიანად გაცხრილა მსოფლიო ჩემპიონობის პრეტენდენტთა რიგები. ზონალური, შემდეგ საზონთშორისო, ბოლოს კი პრეტენდენტთა ასპარეზობის შემდეგ დარჩა სულ 4 დიდოსტატი, მსოფლიო პირველობისთვის ბრძოლას რომ გახაგრძობს. მარტ-აპრილში დანიშნულია მათ შორის გამარჯვებულების ფინალური მატჩი, იელისაგვისტოში კი იმ ერთადერთი პრეტენდენტის შეხვედრა კასპაროვ-კარპოვს შორის ძლეულთან.

მაშ ასე, შემოგვრჩნენ ვაჰანიან-სოკოლოვი და იუსუპოვ-ტიმანი. პირველთა შეხვედრა 8 იანვარს მინსკში იწყება და, რა თქმა უნდა, ჭადრაკის გულშემატკივრების უდავო ინტერესს იწვევს. მსოფლიოს ექსჩემპიონი ანატოლი კარპოვი თვლის, რომ სოკოლოვი დიდად პერსპექტიული მოჭადრაკეა. ცნობილია ისიც, თუ რა დიდი შეხვედულებისაა კარპოვი ვაჰანიანზე, რომელიც მასთან კარგა ხანია თანამშრომლობს. დიახ, მაგრამ ვინ იქნება მათ შორის ის იღბლიანი, ვინც მსოფლიო პირველობისათვის ბრძოლას განაგრძობს?

ვაჰანიანი 34 წლისაა, იგი მრავალმხრივი. მოჭადრაკეა, მაგრამ თუ საჭირო გახდება მის შემოქმედებაში ერთი რომელიმე მხარის წარმოჩენა, მაშინ უპირველეს ყოვლისა, ხაზი უნდა გაესვას ერევნელის პოზიციურ ხელოვნებას. „იგი თამაშობს როგორც პატარა კაპაბლანკა", წერდნენ ვაჰანიანზე ბილის (შვეიცარია) საზონთშორისო ტურნირის დროს. „პატარა" ამ შემთხვევაში კნინობითი არ გახლავთ, ეს უფრო ლეგენდად ქცეულ ხოსე რაულ კაპაბლანკასთან შედარების თავისებური ფორმაა. „კაპაბლანკა" ნიშნავს იმას, როცა მოჭადრაკე საოცარი ინტუიციის უნარით არის დაჯილდოებული და მტოკისათვის მიუწვდომელ ნიუანსებს გრძნობს.

გასული წელი მართლაც ყველაზე უფრო იღბლიანი იყო ვაჰანიანის უკვე საკმაოდ ხანგრძლივი საჭადრაკო მოღვაწეობის მანძილზე. თუმცა მარტო იღბალი რა შუაშია... ვაჰანიანი საგანგებოდ ემზადებოდა ყველა შეჯიბრებისათვის, რასაც ადრე არ აკეთებდა, მის თამაშს საღი რაციონალიზმი დაემატა. სადებიუტო რეპერტუარი უფრო დაბეწილი გახდა. შედეგებმაც არ დააყოვნა. თუ აქამდე ვაჰანიანისათვის საზონთშორისო ჯებირი დაუძლეველი იყო, ახლა იგი იოლად მოხვდა პრეტენდენტების ტურნირში. ეს ზღუდეც დაიძლია და ახლა ერევნელს თავის ცხოვრებაში პირველად უხდება საპრეტენდენტო მატჩის თამაში.

თუ ვაჰანიანი წლების მანძილზე დიდი წარმატებით, მაგრამ მაინც უთანაბროდ თამაშობდა, სოკოლოვი წინ მხოლოდ აღმავალი ხაზით მიდის. დავიწყოთ იმით, რომ იგი სულ 22 წლისაა, მსოფლიო ჩემპიონ კასპაროვზე სულ 17 დღით უფროსი. ისევე, როგორც კასპაროვი, სოკოლოვიც ბოტვინიკის სკოლაში დახელოვნდა. მაგრამ თუ კასპაროვმა ჯერ კიდევ დიდი ხნით ადრე მიიქცია საყოველთაო ყურადღება, სოკოლოვზე თუნდაც ამ სამი წლის წინათ არავინ ლაპარაკობდა, შემდეგ კი დაიწყო და რა დაიწყო! მოსკოველი ჯერ მსოფლიო ჩემპიონი გახდა ჰაბუკთა შორის, 1984 წელს ყველასთვის მოულოდნელად საბჭოთა კავშირის ჩემპიონის ოქროს მედალს დაეუფლა და „დანარჩენი მსოფლიოს ნაგრების" წინააღმდეგ ითამაშა. 1985 წელს სოკოლოვმა მართლაც რომ განაოცარ წარმატებებს მიაღწია. ჯერ მსოფლიო პირველობის ზონალურ ტურნირში გაიმარჯვა, შემდეგ კი საზონთშორისო ტურნირში. როცა პრეტენდენტების ასპარეზობის ჯერი დადგა, სპეციალისტები მაინც თავისას გაიძახოდნენ, არ სჯერდათ მოსკოველის ახალი წარმატებისა. სოკოლოვმა ეს საფეხურიც დაძლია, შემდეგ კი მსოფლიოს პირველ გუნდურ პირველობაში წარმატებით ითამაშა. ერთი სიტყვით, ყველაფერი გასაგებია — ბოლო სამი წლის მანძილზე მხოლოდ გამარჯვება და გამარჯვება, არც ერთი სატურნირო მარცხი!

ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ მაინც ვინ განაგრძობს ბრძოლას — ვაჰანიანი თუ სოკოლოვი? ეს ჯერჯერობით არავინ იცის, ამიტომ დაველოდოთ ამ მატჩს, რომელიც უაღრესად მძაფრი უნდა გამოდგეს.

გ. ᲒᲐᲛᲠᲔᲙᲔᲚᲘ.

რედაქტორი
გ. ᲑᲔᲓᲘᲜᲘᲔᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲐᲦᲓᲒᲔᲜᲘᲚᲘ ᲔᲢᲠᲐᲢᲔᲑᲘ

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცული „თავალავი „ძველესი ხელნაწერი ერის აუწონელი განძია. ამ საგანძურს მრავალი ერთგული მსახური ჰყავს, რომელთა ამაგის მეოხებით მომავალ თაობებსაც გადაეცემა „ეს განძი პირვანდელივე სახით. ამ მოამგეთა შორის არის კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის მხატვარი რესტავრატორი ლია სიხარულიძე; განათლებით ფილოლოგი ხატავს გაიტაცა და ახალგაზრდა შემოქმედი საქართველოს კულტურის სამინისტროს ხალხური შემოქმედებისა და კულტსაგანმანათლებლო მუშაობის რესპუბლიკური სამეცნიერო მეთოდიკური ცენტრის თვითნასწავლ მხატვართა წრის წევრი გახდა. ხელნაწერთა ინსტიტუტში მისული დღიდანვე მან მიზნად დასახა დაზიანებულ ხელნაწერთა აღდგენა.

ლ. სიხარულიძე უკვე არაერთი გამოფენის მონაწილეა. ახლახან კი ჩვენს საზოგადოებას საშუალება მიეცა უფრო ფართოდ გასცნობოდა მის ნაღვაწს, როცა ხალხური შემოქმედებისა და კულტსაგანმანათლებლო მუშაობის რესპუბლიკური სამეცნიერო მეთოდიკური ცენტრისა და გ. ლეონიძის სახელობის ლიტერატურის მუზეუმის თაოსნობით გაიხსნა „ლია სიხარულიძის ნამუშევართა პერსონალური გამოფენა — „ქართული ნიგნის გაფორმების ისტორიიდან". მის მიერ გადაღებული პირები და მულაჟები „საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივისა და კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის მასალებზე დაყრდნობით შეიქმნა.

ამ გამოფენის მნიშვნელობას ხაზი გაუსვეს ლიტერატურის მუზეუმის დირექტორის მოადგილემ ლევან მილორავამ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა მზექალა შანიძემ, რესპუბლიკის დამსახურებულმა მხატვრებმა გიორგი გორდელაძემ და გურამ გაბაშვილმა, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა მიხეილ ქავთარამ.

დამსწრეთ ინტერესით დათვალიერეს ლია სიხარულიძის მიერ შესრულებული IX საუკუნის საკვლესიო საგალობლის, XIII საუკუნის ენაშის ოთხთავის, 1812 წლის სამეფოო ომის გმირის გენერალ პეტრე ბაგრატიონის წერილის, ლაშა-გიორგის მიერ შიომღვიმის მონასტრისადმი შეწირულების სიგელის პირები და მულაჟები.

ამგვარი გამოფენის გამართვა სასურველია უფრო ფართო მასშტაბით — ასეთია დამთვალიერებელთა საერთო აზრი.

Მ. ᲪᲘᲪᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

„ᲣᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲗᲘ ᲤᲝᲢᲝᲒᲠᲐᲤᲘᲐ"

წელს ჩინებული სარჩევი მიიღეს სახვითი ხელოვნების ყველაზე ახალგაზრდა და ყველაზე მასობრივი დარგის — ფოტოგრაფიის მოყვარულებმა და თაყვანისმცემლებმა.

ვამომცემლობა „ლანტარ" გამოუშვა წიგნი „შემოქმედებითი ფოტოგრაფია", რომლის ავტორია ფოტოგრაფიის ცნობილი ისტორიკოსი და თეორეტიკოსი ს. ა. მოროზოვი.

იგი უდავოდ ყოველი ფოტოეუფრნალისტისა და ფოტოხელოვნის სამაგიდო წიგნი, ფოტოგრაფიის ისტორიის, თეორიისა და ქრონოლოგიის ყველაზე დაწვრილებითი, სანდო ცნობარი გახდება.

წიგნი უხვად არის დასურათებული ფოტოგრაფიის საუკეთესო ნიმუშებით, რომლებიც ამ დარგის შექმნიდან დღემდე გადაუღიათ და მსოფლიო ფოტოგრაფიის ოქროს ფონდში შესულა.

წიგნში ვრცელი კარი ეთმობა რუსული და საბჭოური შემოქმედებითი ფოტოგრაფიის ისტორიას. აქ ნახავთ დაწვრილებით ცნობებს ისეთ გამოჩენილ ოსტატებზე, როგორნიც არიან ს. ლეონიკი, დ. ეერმაკოვი, ა. კარელინი, ბ. დმიტრიევი, ი. შტეინბერგი, ბ. ნაპელბაუმი, ა. როდჩენკო, ბ. ალბერტი, დ. ბალტერმანცი, გ. ბინდე, ა. სუდაკოვი და ვ. მალიშევი.

„ჭეკი" ხმა ქართველი ფოტოხელოვნის — გურამ თიკანაძის, „ბზეთ „კომუნისტის" ორი ფოტოკორესპონდენტის, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის სიმონ კილაძისა და საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის ალექსანდრე ნაკოვის ნამუშევრები.

სურათებზე: წიგნის ყდა და მასში შესული ნამუშევრები — გ. თიკანაძის „ნესტის ვაჭარი", ს. კილაძის „საჯარიმო" და ა. ნაკოვის „კახელი".

ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲘ. ᲡᲐᲤᲣᲠᲜᲘᲠᲝ ᲝᲠᲑᲘᲢᲐ

კალათბურთი. გთავაზობთ მოსკოვსა და ვილნიუსში მიმდინარე ვაჟთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მესამე წრის მორიგი კალენდარული მატჩების შედეგებს: **მოსკოვი.** ცსკა-რიგის ვეფი —111:89, მოსკოვის „დინამო"-კიევის „სტროიტელი" — 93:95, ცსკა-კიევის „სტროიტელი" — 105:96, მოსკოვის „დინამო"-რიგის ვეფი — 94:90, **ვილნიუსი.** კაუნასის „ჟალგირისი"-ვილნიუსის „სტატბა" — 93:65, ლენინგრადის „სპარტაკი"-თბილისის „დინამო"— 93:82, კაუნასის „ჟალგირისი"-თბილისის „დინამო" — 112:87, ლენინგრადის „სპარტაკი"-ვილნიუსის „სტატბა" 78:74.

ᲤᲔᲮᲑᲣᲗᲑᲘ. სსრ კავშირის ნაკრებმა რომ ახალგაზრდულ გუნდებს შორის მსოფლიო ჩემპიონის წოდება ერთი ტურით ადრე მოიპოვა, ჩვენმა მკითხველებმა უკვე იციან. კანადაში დამთავრებული ამ შეჯიბრების ბოლო ტურის შეხვედრაში საბჭოთა ჰოკეისტებმა დაამარცხეს ფინეელები ანგარიშით 4:3. მართალია, კანადელებმა ბოლო შეხვედრა ჩეხოსლოვაკიელებთან წააგეს (3:5), მაგრამ მაინც მეორე ადგილზე გავიდნენ. აშშ-ს ნაკრებმა მესამე ადგილი დაიკავა.

ᲤᲘᲖᲘᲙᲣᲠᲘ ᲪᲘᲒᲣᲠᲐᲝᲑᲐ. ლენინგრადში დაწყებულ საკავშირო ჩემპიონატზე სპორტულ წყვილებს შორის მოკლე პროგრამის შესრულების შემდეგ დაწინაურდნენ მოსკოველები ეკატერინა გორდეევა და სერგი გრინკოვი, „ლუჟნიკის" ზიკინას კონცერტი". 17.20 — ქართული მხატვრული ფილმი „ცისფერი მთები" ანუ დაუჯერებელი ამბავი".

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐᲜᲔᲑᲖᲔ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲐᲠᲮᲘ

7 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ

პირველი პროგრამა. 9.00 — „ვრემია". 9.40 — დოკუმენტური ტელეფილმები. 10.05 — ლეონიკავალოს ოპერა „ჯამბაზები". 11.20 — მხატვრული ტელეფილმი „ოპერაცია „ცეცხლის ბუთი". 12.15 და 15.30 — ახალი ამბები. 15.50 — დოკუმენტური ფილმები. 16.25 — ფილმ-კონცერტი. 16.50 — ცოდნა ძალაა. 17.25 — დოკუმენტური ფილმი „კამპანიის შესახებ. 18.05 — მხატვრული ტელეფილმი „ჯურა — მინარეული მონადირე". II სერია. 19.15 — ჩვენი ბაღი. 19.45 — ღიმილ მსოფლიოში. 20.00 — მულტფილმი. 20.10 — სკკპ XXVII ყრილობის შესახებ ფილმ. 22.00 — „ვრემია". 22.40 — ბოკეი. 23.15 — ფიგურული ცეკვაობა. 0.05 — ღიმილ მსოფლიოში.

მეორე პროგრამა. 9.00 — ფილის ეარჯიში. 9.15 — სამეცნიერო-პოპულარული ფილმი. 9.35 — მხატვრული ფილმი „თანამემამულენი". 11.00 — მაგიპარა. 11.30 — უკრა